


გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და
გლობალური გარემოს დაცვითი ფონდის (GEF) პროექტი:

აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების ქსელის
გაფართოება და მათი მართვის დახვეწა

საბოლოო შედეგები, გამოცდილება და რეკომენდაციები



UNDP/GEF Project
Expansion and Improved Management Effectiveness
of the Ajara Region's Protected Areas

**IMPACT, LESSONS LEARNED AND
RECOMMENDATIONS**

2018

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) პროექტი:

აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება და მათი
მართვის დახვეწა

**საბოლოო შედეგები, გამოცდილება და
რეკომენდაციები**

ბათუმი, 2018

ანგარიშის მიზანი

წინამდებარე ანგარიშის მიზანია პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის დახვეწა“ ფარგლებში განხორციელებული ქმედებების, მათი ზეგავლენისა და მიღებული გამოცდილების შეჯამება და გავრცელება. ეს ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამთავრობო, დონორი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მსგავსი ქმედებების განხორციელებისას. აქვე მოცემულია პრაქტიკული სამომავლო რეკომენდაციები თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

ანგარიში შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- შემაჯამებელი ანგარიში, სადაც სამიზნე მიმართულების მიხედვით მოკლედ არის დახასიათებული ის ზემოქმედება რაც პროექტმა მოახდინა, აღწერილია მიღებული გამოცდილება და მოცემულია მთავარი რეკომენდაციები
- კონკრეტული თემატური ანგარიშები, სადაც მოცემულია უფრო დეტალური ინფორმაცია პროექტის ყველაზე ღირებულ და ინოვაციურ კომპონენტებზე, რომელიც, მოიცავს სასარგებლო გამოცდილებას და რეკომენდაციებს შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისათვის.

პროექტი განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ -ის დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელშეწყობით.

ანგარიში მომზადებულია პროექტში ჩართული ექსპერტებისა და კონსულტანტი ორგანიზაციების კვლევებზე დაყრდნობით. გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.



WWW.APA.GE



დაცული ტერიტორიების სააგენტო
AGENCY OF PROTECTED AREAS



Empowered lives.
Resilient nations.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. პროექტის განხორციელებით მიღებული შედეგები, გამოცდილება და რეკომენდაციები - მოკლე მიმოხილვა	4
1.1 პროექტის მოკლე აღწერა	4
1.2 პროექტის პირდაპირი და ირიბი ზეგავლენის მოკლე მიმოხილვა	4
1.3 მიღებული შედეგები და რეკომენდაციები	13
2. დასული ტერიტორიების და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება	18
2.1 შესავალი	18
2.2 თეორიული / ნახევრად თეორიული ტრენინგები	19
2.3 სასწავლო ტურები	29
2.4 პრაქტიკული სწავლებები	31
2.5 ინფრასტრუქტურის განვითარების და აღჭურვილობით მხარდაჭერა	34
2.6 მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები	36
3. მაწახლის ხეობის თემის მობილიზებისა და განვითარების მხარდაჭერა	38
3.1 შესავალი	38
3.2 აქტივობების მოკლე მიმოხილვა და მიღებული შედეგი	39
3.3 მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები	43
4. მაწახლას ეროვნულ კარკასს და მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება	46
4.1. შესავალი	46
4.2 განხორციელებული აქტივობები და მიღებული შედეგები	47
4.3 მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები	51
5. მდირალას და მაწახლას დასული ტერიტორიების შემოგართა ასოციაცია	54
5.1. შესავალი	54
5.2 განხორციელებული აქტივობები და მიღებული შედეგები	55
5.3 მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები	58
6. საშეშე მერქანის შემსწავლის საპილოტე აქტივობები მაწახლის ხეობაში	60
6.1 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა	60
6.2 განხორციელებული ქმედებების და შედეგების შეჯამება	62
6.3 საშეშე მერქანზე მოთხოვნის შემცირება - მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები	65
6.4 განხორციელებული ქმედებები და მიღებული შედეგები - შემაჯამებელი ცხრილები	67
7. ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტის შემსწავლა	76
7.1 შესავალი	76
7.2 განხორციელებული აქტივობები და მიღებული შედეგები	77
7.3 მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები	81
დანართი N1 - პროექტის მედია ბგულები	83
დანართი N2 - პროექტის ფოტოგანსახილველი	155

1. მიღებული შედეგები, გამოცდილება და რეკომენდაციები - მოკლე მიმოხილვა

1.1 პროექტის მოკლე აღწერა:

პროექტი „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის დახვეწა“ ხორციელდებოდა 2014-2018 წწ. განმავლობაში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, გლობალური გარემოს დაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული დაცული ტერიტორიების მართვის დახვეწას, ბიოგეოგრაფიული საზღვრების გაფართოებას და ურთიერკავშირის განმტკიცებას უნიკალური კოლხური ტყეების (ზომიერად ნოტიო ტყეების) უკეთ დასაცავად. ეს მხარე მნიშვნელოვანია თავისი ბიომრავალფეროვნებით, ნოტიო პლიოცენური ფლორის, დიდი რაოდენობით მცირედგავრცელებული (ადგილობრივი, ენდემური) მცენარეებისა და ცხოველების, ასევე გადამფრენი ფრინველების საერთაშორისო მნიშვნელობის მარშრუტის გამო. პროექტი დაეხმარა მთავრობას, აემოქმედებინა ახლად დაარსებული მაჭახელას ეროვნული პარკი, რომელიც შეკრავს კოლხური ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი დაცული ტერიტორიების 4 ერთეულისგან შემდგარ ჯაჭვს (კინტრიში, მტირალა და მაჭახელა საქართველოში და ჯამილი თურქეთში).

1.2 პროექტის პირდაპირი და ირიბი ზეგავლენის მოკლე მიმოხილვა

<p>გაიზარდა აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების ფართობი:</p> <p>ფართობი პროექტის დასაწყისში: 30,469 ჰა. ფართობი პროექტის ბოლოს: 42,097 ჰა.</p> <p>ფართობი გაიზარდა 11,628 ჰექტრით, მათ შორის მაჭახელას ეროვნული პარკის - 7,333 ჰექტრით და მაჭახელის დაცული ლანდშაფტის - 4,295 ჰექტრით (დაცული ლანდშაფტის შექმნის პროცესი ჯერ არ დასრულებულა)</p>
<p>დასულა ტერიტორიება აჭარის ზომიერად ნოტიო კოლხური ტყეების მთი ფართობი მოიცვა:</p> <p>პროექტმა აჭარის კოლხური ტყეების ფართობი, რომელსაც დაცული ტერიტორიები ფარავს, გაზარდა დაახლოებით 40%-ით (გაანგარიშება დამყარებულია ვარაუდზე, რომ მაჭახელის დაცული ლანდშაფტი შეიქმნება). ანუ მაჭახელას ეროვნული პარკის და დაცული ლანდშაფტის 11,628 ჰა დაემატება კინტრიშის და მტირალას დაცული ტერიტორიების თავდაპირველ 29,699 ჰა-ს</p>

აჭარის კოლხური ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი დაცული ტერიტორიების შესაძლებლობები გაძლიერდა *

პროექტის პირდაპირი ზეგავლენის შედეგად გაძლიერდა ინსტიტუციური (3 სამიზნე დაცული ტერიტორია) და ინდივიდუალური (დაცული ტერიტორიების პერსონალი და სათავო ოფისის პერსონალი) შესაძლებლობები; სისტემური შესაძლებლობები გაძლიერდა ისეთ პარტნიორულ აქტივობებში მონაწილეობის შედეგად, რომლებიც მიზნად ისახავდა დაცული ტერიტორიების სისტემური გარემოს გაუმჯობესებას საქართველოში.

ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დონეებზე პროექტმა ჩაატარა პერსონალის ვრცელი და მრავალმხრივი ტრენინგები, ნაწილობრივ დააფინანსა აღჭურვილობა, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური სერვისები და ხელი შეუწყო ადგილობრივ და სათავო ოფისის პერსონალს ისეთი სამუშაოების შესრულებაში, როგორებიცაა მაჭახელას ეროვნული პარკის ამიქმედება და მისი მართვის დაგეგმვა.

* შეფასებულია დაცული ტერიტორიების სტანდარტული საზომით „კომპეტენციების შეფასების კითხვარი“)

გაიზარდა აჭარის კოლხური ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობა *

მაჭახელას ეროვნული პარკი: 11%-დან 80%-მდე

მტირალას ეროვნული პარკი: 68 %-დან 73%-მდე

პროექტმა ხელი შეუწყო მაჭახელას ეროვნული პარკის მართვის ეფექტიანობის ამაღლებას მთელი იმ პროცესის მხარდაჭერის გზით, რომლის დროსაც **„მხოლოდ ქაღალდზე არსებული ეროვნული პარკი“ გარდაიქმნა ფუნქციონირებად დაცულ ტერიტორიად** თავისი მკაფიოდ განსაზღვრული და შეთანხმებული საზღვრებით, მეთოდურად დაგეგმილი ზონირების სისტემით, სრულად აღჭურვილი ადმინისტრაციული ოფისით და ვიზიტორთა ცენტრით, გაწვრთნილი პერსონალითა და მართვის/ოპერირების გეგმებით.

მტირალას ეროვნულ პარკზე ზეგავლენა ძირითადად გამოიხატა პერსონალის გაძლიერებული ტრენინგით, დამატებითი აღჭურვილობით და ადგილობრივ თემებთან მუშაობის ახალი გამოცდილებით (სათემო და ახალგაზრდა რეინჯერების პროგრამები)

* შეფასებულია საზომით „დაცული ტერიტორიის მართვის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტი“ METT

შენიშვნა: კონტრიშის დაცული ტერიტორიების ეფექტიანობაც გაიზარდა, მაგრამ UNDP/GEF პროექტთან ეს მცირედ იყო დაკავშირებული და ძირითადად განხორციელდა გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) პროგრამის „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა კავკასიაში“ (SPPA) ფარგლებში

კოლხური მყვების ერთიანობა - მაჭახელას ეროვნული პარკის დაარსების გზით შექმნილი მანძილი მტირალა/კინტრიშის კომპლექსსა და კოლხური მყვების შესანარჩუნებლად შექმნილ მომდევნო უახლოეს დაცულ ტერიტორიას შორის

პროექტის დაწყებამდე არსებული მდგომარეობით, მტირალა/კინტრიშის დაცული ტერიტორიების კომპლექსი 13 კმ-ით იყო დაშორებული კოლხური ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი მომდევნო დაცული ტერიტორიიდან (ჯამილის ბიოსფერული რეზერვატი თურქეთში). მაჭახელას ეროვნული პარკის ფუნქციური დაარსებით ეს მანძილი 6 კმ-დე შემცირდა.

მეტიც, მტირალასა და მაჭახელას პარკებს შორის არსებული ტერიტორია სატყეო სააგენტოს ეკუთვნის. ამ ტერიტორიაზე ფაუნის ერთიანობის მთავარი ბარიერი ბათუმი-ახალციხის ავტომაგისტრალია, რომელიც კვეთს ორ ეროვნულ პარკს შორის არსებულ მდ. აჭარისწყლის ხეობას.

მაჭახლის ხეობის მთელი უნიშვნელოვანესი ბიომრავალფეროვნება და კულტურული ლანდშაფტი მოექცა მართვის ქვეშეშე სისტემის ქვეშ

(ანუ ეროვნული პარკი და დაცული ლანდშაფტის კატეგორიის დაცული ტერიტორია მიმდებარე ბუფერულ ზონაში)

პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა მაჭახლის ხეობის ბიომრავალფეროვნების შეფასება და ინვენტარიზაცია და განისაზღვრა ყველა მნიშვნელოვანი უბანი. ამასთან, ამ ინვენტარიზაციამ გამოავლინა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი უბანი, რომლებიც სხვადასხვა პრაქტიკული/სოციალური მიზეზით არ იყვნენ მოქცეული ეროვნული პარკის ფარგლებში (მათ შორის წყლისპირა უბნები მდინარე მაჭახელას გასწვრივ).

თუმცა, ეს უბნები მოქცეულია გეგმარებით მაჭახლის დაცულ ლანდშაფტში. ამრიგად, პროექტმა შექმნა სისტემური ჩარჩო მაჭახლის ხეობაში უმნიშვნელოვანესი ბიომრავალფეროვნების მართვისა და დაცვისთვის.

ადგილობრივ თემებსა და ხელისუფლებას შეეძინებოდათ აქვთ და უკეთ ესმით დაცული ტერიტორიების უნიშვნელოვანობა და ახლა ისინი მხარს უჭერენ დაცული ტერიტორიების არსებობას:

საწყისი მდგომარეობა: 2014 წელს, როდესაც პროექტის განხორციელება დაიწყო, ადგილობრივ თემებს არასწორად ესმოდათ მაჭახელას ეროვნული პარკის მნიშვნელობა, უნდობლობით ეკიდებოდნენ მის დაარსებას და ეწინააღმდეგებოდნენ ნებისმიერ ქმედებას ხეობაში, რომლებსაც მიწათსარგებლობის და საარსებო საშუალების მოპოვების შეზღუდვად აღიქვამდნენ.

შერბილების ღონისძიებები: ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად პროექტმა:

ა) დაუყოვნებლივ გადადგა ნაბიჯები იმისთვის, რომ ეროვნული პარკის პერსონალს გაეუმჯობესებინა ადგილობრივ თემებთან კომუნიკაცია და ადგილობრივ თემებს უკეთ გაეაზრებინათ ეროვნული პარკის რეალური სარგებელი და პოტენციური სიკეთეები.

ბ) უზრუნველყო ეროვნული პარკის საზღვრების დადგენის და დემარკაციის სამუშაოების ჩატარება ადგილობრივ თემებთან კონსულტაციის და მათი ჩართულობის გზით და საბოლოო საზღვრების მათთან შეთანხმება.

გ) ინტენსიურად იმუშავა ადგილობრივ თემებთან, რომ გაემლიერებინა მათი ორგანიზების უნარი და იმ სიკეთეებით სარგებლობის შესაძლებლობა, რასაც ეროვნული პარკის დაარსება მოიტანდა.

დ) ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ჩართულობითა და მხარდაჭერით, დაიწყო ზრუნვა ადგილობრივი თემების იმ პრიორიტეტული პრობლემების მოგვარებაზე, რომლებიც უკავშირდებოდა ტყის რესურსებსა და ველურ ბუნებას (საშეშე მერქნის ალტერნატიული საწვავი, ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტი).

მდგომარეობა პროექტის ბოლოს / ზეგავლენა:

კონსულტაციებმა, რომლებიც მაჭახლის ხეობაში დაცული ლანდშაფტის შექმნის მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩატარდა, აჩვენა, რომ რადიკალურადაა შეცვლილი ადგილობრივი თემების დამოკიდებულება და ახლა მათი უმრავლესობა მხარს უჭერს მაჭახლის ხეობაში კონსერვაციის და მიწის მდგრადი გამოყენების/საარსებო საშუალებების მდგრადი მოპოვების აქტივობებს.

**საშეშე მერქნის პრობლემა - ალტერნატიული საწვავი:
გამოიხადა ახალი მიდგომები, რომლებიც აშხირებს საშეშე მერქანზე
დამოკიდებულებას და მის მოხმარებას; ახლა ადგილობრივი ოჯახები ამ
მიდგომებს ნერგავენ**

საწყისი მდგომარეობა:

პროექტის დაწყებამდე ადგილობრივი მოსახლეობა სახლის გასათბობად თუ წყლის გასაცხელებლად ძირითადად საშეშე მერქანს იყენებდა. ამის შედეგი იყო: ა) ზეწოლა ტყეზე, ბ) ტყის დაზიანება საშეშე მერქნის არასწორი მოპოვების გამო, გ) რისკი, დრო და ხარჯი ოჯახებისთვის (ტყეში საქმიანობის რისკი, შეშის შეგროვებისთვის საჭირო დრო, ტრანსპორტირების და ნებართვის ხარჯი), დ) კონფლიქტი ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან უკანონო მოპოვების გამო ნებართვის მიღების ბიუროკრატიული და დამქანცველი პროცესი და ამავე მიზეზით, ეროვნული პარკის ადმინისტრაციის გაზრდილი სამუშაო ტვირთი.

შემსუბუქების ღონისძიებები:

პოტენციური ალტერნატივების შეფასება, ადგილობრივ ოჯახებთან ინტენსიური კონსულტაცია, საუკეთესო ვარიანტების გამოცდა/მათ შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, შედეგების გაცნობა მოსახლეობისთვის და ამ ალტერნატივების გამოყენების წახალისება.

სიტუაცია პროექტის ბოლოს / ზეგავლენა:

ალტერნატიული საწვავის რამდენიმე ვარიანტი გამოიკადა ოჯახებში; პრაქტიკულმა გამოცდამ აჩვენა ამ ალტერნატივების, კერძოდ, თხილის ნაჭუჭის და მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლების გამოყენების პერსპექტიულობა არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში.

თხილის ნაჭუჭის საწვავად გამოყენების პოტენციური ზეგავლენა 2021 წლისთვის, თუ ამ ალტერნატივების გამოყენების არსებული ტენდენცია შენარჩუნდა:

- 250 ოჯახი 2021 წლისთვის (კონსერვატიული პროგნოზი)
- დაზოგილი 2,250 მ³ საშუალო მერქანი – რაც დაახლოებით 500 ხის ეკვივალენტურია*
- დაზოგვის ამ დონით, ეს დანაზოგი 10 წელიწადში დაახლოებით 5000 ხის ეკვივალენტური იქნება (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ალტერნატივის გამოყენების ახალი შემთხვევები არ იქნება)

მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლების პოტენციური ზეგავლენა - საშუალოდ დაიზოგება 4.5 მ³ საშუალო მერქანი ერთ ოჯახზე წელიწადში

- 30 ოჯახი 2021 წლისთვის = დაახლოებით 135 მ³-ის დანაზოგი წელიწადში = დაახლოებით 30 ხე
- 10 წლის განმავლობაში = დაიზოგება დაახლოებით 300 ხე

**დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი თემატური ანგარიში*

**კონფლიქტი აღადგინა და მთავარ სახეობებს შორის:
უკეთეს არის გააზრებული პრობლემის მასშტაბი; ნაჩვენები იქნა ახალი,
აქამდე გამოუყენებელი მიდგომები, რომლებიც ამცირებს სახეობების
მიერ მიყენებულ ზარალს; მიმდინარეობს მათი დანერგვა:**

საწყისი მდგომარეობა:

ცნობილი იყო, რომ გარეული ცხოველები (ძირითადად დათვი, გარეული ღორი და მელიები) ზარალს და ზიანს აყენებდნენ ადგილობრივი ოჯახების ქონებას, მაგრამ დეტალური მონაცემები არ არსებობდა, პრობლემის მოსაგვარებლად დახმარების მიღების გზები კი რთული იყო და დიდ დროს მოითხოვდა (რაც გამოიხატებოდა რამდენიმე ანგარიშის შედგენასა და არსებული პრობლემების შეუსაბამო ან სახიფათო მეთოდებით მოგვარებაში).

შემსუბუქების ღონისძიებები:

პროექტმა ორგანიზაცია „ნაკრესთან“ ერთად განახორციელა: ა) მაჭახლის ხეობაში სიტუაციის კვლევა და შეფასება, ბ) ორი მიდგომის ტესტირება პრობლემის შესამსუბუქებლად: 1) საქონლის დაზღვევა, 2) სპეციალური ელექტროლობების მოწყობა, რომლებიც შეიქმნა მათი პრაქტიკული გამოყენების და მიზანშეწინაობის შეფასების შემდეგ.

მდგომარეობა პროექტის ბოლოს:

ა) ადამიანსა და მტაცებელ ცხოველებს შორის კონფლიქტის მნიშვნელობა უკეთ არის გააზრებული (კვლევის შედეგებით, გამოკითხული ოჯახების უმეტესობის აზრით (85 რესპონდენტი 10 სოფელში) ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს დათვები (86%). ეს პრობლემები, დიდი ალბათობით, ამავე მასშტაბით აწუხებს მაღალმთიან ტყის ზონებში მცხოვრებ სხვა თემებს.

ბ) დაზღვევის სქემის პრაქტიკული გამოცდა: ადგილობრივი ოჯახებისთვის შემუშავდა თავდასხმის შემთხვევისგან დაზღვევის სქემა და მხარი დაეჭირა საცდელი ვარიანტის განხორციელებას 100 ოჯახის დაახლ. 200 ძროხისთვის 2 სოფელში (დაზღვევა ანაზღაურებს საქონლის დანაკარგს არა მარტო დათვის თავდასხმის, არამედ სხვა რიგი მიზეზების შედეგადაც.) ეს პირველი ასეთი სქემა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

გ) უსაფრთხო და ეფექტიანი ელექტროლობის სისტემის პრაქტიკული გამოცდა: ძალზე სახიფათო, 220 ვოლტიანი სისტემების ნაცვლად, რასაც ზოგი ოჯახი იყენებს, 15 ოჯახში გამოიცადა კომერციული დამცავი ელექტროლობე (11 ელექტროლობის სისტემა), რომ მომხდარიყო მისი ეფექტიანობის, პრაქტიკული ფუნქციონირების და ფინანსური მიზანშეწონილების შეფასება და ჩვენება.

ზეგავლენა:

დაზღვევაც და ელექტროლობეებიც ეფექტიანი აღმოჩნდა გარეული ცხოველებისგან მიყენებული ზარალის შესამცირებლად და დანაკარგების თავიდან ასაცილებლად. პროექტის დასრულების გამო, დრო არ დარჩა ამ მეთოდების ადგილობრივი ოჯახების მიერ დანერგვის შეფასების ჩასატარებლად. თუმცა, ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF) აპირებს, „ეკო-კორიდორების პროგრამის“ ფარგლებში დანერგოს დაზღვევის მსგავსი სქემა ხულოს რაიონში, ასევე არის დაინტერესება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მხრიდან ელექტროლობეების დანერგვაში.

გაქლიერდა ადგილობრივი თემების შესაძლებლობები, მოახდინონ მობილიზაცია და ითანამშრომლონ სოციალური და განვითარების მიზნების მისაღწევად:

საწყისი მდგომარეობა:

ბოლო 20 წლის განმავლობაში მომხდარი მრავალი ცვლილების გამო, მაჭახელში არ არსებობდა ადგილობრივ თემებზე დაფუძნებული სტრუქტურები; ასევე არ იყო ჩამოყალიბებული საერთო ხედვა სამომავლო განვითარების შესახებ. ეს ხელს უშლიდა ერთობლივი ქმედებების განხორციელებას და თანამშრომლობას ორმხრივად სასარგებლო მიზნების მისაღწევად, რამაც პოტენციურად შეზღუდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები.

პროექტის ქმედებები მდგომარეობის შესაცვლელად:

პროექტმა გამოიყენა მრავალფეროვანი მიდგომები, რომ გაეძლიერებინა ადგილობრივი თემების შესაძლებლობები მობილიზება მოეხდინათ თემების და ოჯახების დონეებზე. ამ მიდგომებს შორის იყო:

- *თემის კონსულტირების და ერთობლივი დაგეგმვის მხარდაჭერა:* პროცესის დასაწყებად პროექტმა მხარი დაუჭირა ინტენსიურ კონსულტაციებს, საჭიროებების შეფასებას და „თვითდაგეგმვას“, ანუ პროექტმა ხელი შეუწყო თემებს, განეხილათ თავიანთ საშუალო და გრძელვადიანი მომავალი და განესაზღვრათ სამომავლო პრიორიტეტები.

- *თემების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების ხელშეწყობა:* ზემოაღნიშნული კონსულტაციების და ერთობლივი დაგეგმვის საფუძველზე შემუშავდა პროექტის მხრიდან დახმარების პრიორიტეტული „სამოქმედო გეგმა“, რომელიც თანმიმდევრულად განხორციელდა მომდევნო წლებში.

მიღებული შედეგები:

ეროვნული პარკის „დამხმარე ზონის“ თემების მხარდასაჭერად განხორციელებული კომპლექსური აქტივობების შედეგებია:

1. მნიშვნელოვნად ამაღლდა ინფორმირების დონე ბიომრავალფეროვნების დაცვის მნიშვნელობის შესახებ და გაიზარდა ტრადიციული ლანდშაფტების შენარჩუნების მხარდაჭერა იმ სარგებლის გამო, რასაც ისინი უზრუნველყოფენ. კულტურის გრძელვადიანი შენარჩუნების და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. ამას ადასტურებს ცვლილება მიდგომებში, რომლებიც არსებობდა პროექტის დასაწყისში (წინააღმდეგობა) და არსებობს პროექტის ბოლოს (დაცული ლანდშაფტის შექმნის მხარდაჭერა).

2. გაძლიერდა სოფლის თემების მობილიზებისა და ურთიერთანამშრომლობის შესაძლებლობები სასარგებლო შედეგების მისაღწევად; ამას ადასტურებს ინიციატივები, რომლებიც ადგილობრივმა თემებმა თავად განსაზღვრეს და ნაწილობრივ დააფინანსეს (მაგალითად: სავაჭრო დახლები, წყალმომარაგების პროექტები, სათბურები, ხეობის ფესტივალები, სხვა.).

გაძლიერდა ეროვნული პარკის პერსონალის და ადგილობრივი თემების შესაძლებლობები, განავითარონ თურიზმი და ისარგებლონ თურიზმის სიკეთეებით:

საწყისი მდგომარეობა:

ხეობას ძირითადად ადგილობრივი ტურისტები სტუმრობდნენ, თუმცა მცირე რაოდენობით და ეკონომიკური სარგებელი მწირი იყო. ეროვნულ პარკს არანაირი ტურისტული ინფრასტრუქტურა არ ჰქონდა; ადგილობრივი თემები და ტურისტული სერვისის პოტენციური მიმწოდებლები გამოუცდელი იყვნენ სათანადო ტურისტული სერვისების შეთავაზებაში, ხოლო ტურისტულმა სააგენტოებმა არაფერი იცოდნენ არსებული პოტენციალის შესახებ.

ქმედებები მდგომარეობის შესაცვლელად:

- ეროვნულ პარკში თურიზმის დაგეგმვის და განვითარების ხელშეწყობა (ტურიზმის გეგმა, ბილიკების განსაზღვრა და მომზადება, ნიშნების განთავსება და სარეკლამო ინფორმაცია, ვიზიტორთა ცენტრის გარემონტება)

- ტრენინგები ტურისტული სერვისების მიწოდებაზე დაინტერესებული ადგილობრივი ოჯახებისთვის/ინდივიდებისთვის

- ინდივიდუალური კონსულტაციები (შესაფერისი შენობა-ნაგებობების მაგალითები, საოჯახო სასტუმროს სერვისები, სხვა)
- კულტურული გამოცოცხლების მხარდაჭერა (მაჭახლის ხეობის ფესტივალი, ფოლკლორული გუნდის აღდგენა, სუვენირების და ადგილობრივი პროდუქტების შეთავაზება ტურისტებისთვის)
- ეროვნული პარკის საზღვრებს გარეთ (ხეობაში) ბილიკების შემუშავება და მოწყობა

მიღებული შედეგები:

- განისაზღვრა მაჭახელას ეროვნული პარკის ტურისტული მარშრუტები, განხორციელდა მთავარანგელოზის მარშრუტის მარკირება და ამ მარშრუტზე ნიშნების განთავსება
- დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით ჩატარდა ვიზიტორთა ცენტრის შენობის რეკონსტრუქცია და ეროვნულმა მუზეუმმა მოამზადა ვიზიტორთა ცენტრის გამოფენის დიზაინი
- მაჭახლის ხეობის მოსახლეობას ჩაუტარდა ტრენინგები ტურისტული სერვისების შეთავაზებასა და ტრადიციული ხელობის პოპულარიზებაში
- ხელმისაწვდომია ტურისტული სერვისები (ღვინის დაგემოვნება, ქარგვის სახელოსნო, სამჭედლო, კალათების წვნა, ეკო-ფერმები და სხვა)
- შეიქმნა სალაშქრო ბილიკები, განთავსდა ნიშნები ხეობაში - გასტრონომიული მარშრუტი, საწნახელის მარშრუტი, დუნგას ჩანჩქერის მარშრუტი, ეთნოგრაფიული მარშრუტი.
- ტურისტული მასალები ხელმისაწვდომია ბეჭდურ, აუდიო და ვიდეო ფორმატებში

მაჭახელას ეროვნული პარკის ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 0-დან 2015 წელს 5092-მდე 2017 წელს და 10002-მდე 2018 წლის 11 თვეში

ადგილობრივ თემებს მიეხსათ მეთი შესაძლებლობა, გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების გზით:

საწყისი მდგომარეობა:

მაჭახლის ხეობის მოსახლეობა, მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის უმრავლესობის მსგავსად, ბევრი სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის და მასთან ერთად, იმ კოლმეურნეობების გაუქმების შემდეგ, რომლებშიც ტრადიციული, შემოსავლიანი კულტურების (ჩაი, თამბაქო, სხვა) მოპყავდათ.

მდგომარეობის შესაცვლელად განხორციელებული ქმედებები:

პროექტმა მხარი დაუჭირა სხვადასხვა აქტივობას კოოპერატივების განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობდა ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მასშტაბის ზრდას (როგორცაა თაფლის და თხილის წარმოება) და ოჯახების შესაძლებლობების გაძლიერებას, მოეხდინათ რესურსების დივერსიფიცირება (მელვინეობის გაუმჯობესება, სათბურების გამოყენება, მეფუტკრეობა, ადგილობრივი

მასალებისგან სუვენირების დამზადება, სხვა). გარდა ამისა, ხელი შეუწყო საშეშე მერქნის გამოყენების შემცირებას და მდგრადი ალტერნატიული საწვავის გამოყენებას (იხილეთ ზევით).

ზეგავლენა:

- 9 კოოპერატივისთვის დახმარების გაწევა (7 მაჭახელში, 2 კონტრიშთან ახლოს), მათ შორის: 5 მეფუტკრეობის კოოპერატივს მიეწოდა 110 მოქმედი სკა და მანქანა სკების ტრანსპორტირებისთვის, 3-ს თხილის სარჩევი დანადგარი, 1-ს თივის წარმოებისათვის – მინი ტრაქტორი და თივის პრესი
- 5 ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსებაში თანამონაწილეობა ადგილობრივ თემებთან ერთად – წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა, ავტობუსის გაჩერება, რიტუალური მომსახურების ცენტრი
- ადგილობრივი სოფლების მოსახლეობის მხარდაჭერა:
 - ტრენინგი სოფლის მეურნეობაში და დახმარება მცირე ზომის სათბურების მოწყობაში
 - დახმარება ღია სავაჭრო ობიექტის მოწყობაში ადგილობრივი პროდუქციის გასაყიდად
 - ადგილობრივი ფოლკლორული მუსიკის გუნდის მხარდაჭერა
 - ნარჩენების შეგროვების და გატანის პროგრამა – ნაგვის მანქანის შესყიდვაში 50%-იანი თანამონაწილეობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტთან ერთად

დაარსდა და ფუნქციონირებს თვითკმარი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მანდატი და მიზანია, ხელი შეუწყოს დასული ტერიტორიების და მიმდებარე თემების გრძელვადიან განვითარებას და თანამშრომლობას:

საწყისი მდგომარეობა:

პროექტის განხორციელების დაწყების დროს აჭარის არც ერთ დაცულ ტერიტორიას მხარდაჭერა არ ჰქონდა არც ერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან. თუმცა, ჩატარებულმა შეფასებამ გამოავლინა, რომ ასეთ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო დაცული ტერიტორიების პოპულარიზების, ადგილობრივ თემებსა და დაცულ ტერიტორიებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბების, დაცული ტერიტორიებისა და ადგილობრივი თემების განვითარების პრიორიტეტების ხელშეწყობის საქმეში.

შერბილების ღონისძიებები / ქმედებების მდგომარეობის შესაცვლელად:

საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების მოდელის გათვალისწინებით, პროექტმა ხელი შეუწყო მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის დაარსებას და მისი საოპერაციო შესაძლებლობების გაძლიერებას. განსაკუთრებული ძალისხმევა ფოკუსირებული იყო ასოციაციის მდგრადობის უზრუნველყოფაზე.

მდგომარეობა პროექტის ბოლოს:

მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია დაფუძნდა 2017 წელს; მას შემდეგ ის ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას დაცულ ტერიტორიებსა და ადგილობრივ თემებს შორის ურთიერთობის და თანამშრომლობის გასაძლიერებლად. ამ აქტივობებს შორისაა ახალგაზრდა და სათემო რეინჯერების პროგრამები, სკოლებისთვის ეკო-საგანმანათლებლო ვიზიტების ორგანიზება, ტურიზმის პოპულარიზაცია და დონორთა დაფინანსებით ადგილობრივი განვითარების პროექტების განხორციელება.

ასოციაციას აქვს საშუალოვადიანი სტრატეგია და გეგმა, ჰყავს 1 მუდმივი დირექტორი და 4 ან მეტი ნახევარ განაკვეთზე მომუშავე/მოხალისე თანამშრომელი. რეალისტურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით შემუშავებული პროგნოზის თანახმად, 2019 წელს ასოციაცია შეძლებს სერვისების მიწოდებიდან იმ ოდენობით საკუთარი თანხების გენერირებას, რომ გახდეს ფინანსურად თვითკმარი.

1.3 მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები

მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები	რეკომენდაციის შემსრულებელი მხარეები
<p>1. ეფექტიანი კომუნიკაცია და გამჭვირვალობა უმნიშვნელოვანესია დაცული ტერიტორიების თავდაპირველი დაგეგმვის და დაფუძნების დროს:</p> <p>პროექტის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სათანადო კომუნიკაციის და კონსულტაციების ნაკლებობა ქმნის არასწორ წარმოდგენებს და გაუგებრობებს ადგილობრივ მოსახლეობაში ახალი დაცული ტერიტორიების სიკეთეების შესახებ. ამას შეიძლება გამოეწვიოს ძლიერი წინააღმდეგობა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან და სერიოზული კონფლიქტიც კი ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან, რაც უარყოფითად აისახებოდა ეროვნული პარკის დაარსების პროცესზე და მის გრძელვადიან მართვაზე, გაზრდიდა მენეჯმენტის ხარჯებს და საფრთხეს შეუქმნიდა პარკის პერსონალს.</p> <p>რეკომენდაცია: არსებული თუ ახალი დაცული ტერიტორიის მახლობლად მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობასთან ეფექტიან კომუნიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაცული ტერიტორიის გრძელვადიანი წარმატებისთვის. იმისთვის, რომ ასეთი კომუნიკაცია შინაარსობრივი იყოს და რეალური გავლენა ჰქონდეს, საჭიროა დაცული ტერიტორიების სააგენტოს პერსონალის ფიზიკური ყოფნა</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო)</p> <p>დონორი ორგანიზაციები და კონტრაქტორები, რომლებიც მხარს უჭერენ შესაბამისი დაცული ტერიტორიის განვითარებასა და მართვას.</p>

<p>შესაბამის ტერიტორიებზე ადგილობრივ თემებთან შეხვედრებზე და მათთან უშუალო კონტაქტის დამყარება. დისტანციური კომუნიკაცია ბეჭდვითი მასალების დარიგების, ინტერნეტით განცხადებების გავრცელების და სხვა გზებით არ არის ეფექტიანი.</p> <p>ასეთი კონტაქტი და კომუნიკაცია უნდა შენარჩუნდეს დაცული ტერიტორიის შექმნის მთელი პროცესის განმავლობაში და განსაკუთრებით, საზღვრების დემარკაციის და მართვის ზონების შერჩევის დროს.</p> <p>დაცული ტერიტორიის დაარსების შემდეგ უნდა შეიქმნას „მრჩეველთა საბჭოების“ მსგავსი მექანიზმი ადგილობრივი თემის წარმომადგენლების მონაწილეობით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს უწყვეტი კომუნიკაცია და პრობლემების თუ პოტენციური კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა.</p> <p>პროექტის გამოცდილებამ აჩვენა, რომ აღნიშნული პრინციპების დაცვის შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა დაცული ტერიტორიების შესახებ სწორი აღქმის ჩამოყალიბებასა და მხარდაჭერის მოპოვებაზე ყველა მხარისთვის მინიმალური დანახარჯებით და გრძელვადიანი სარგებლით.</p>	
<p>2. თავდაპირველი ინვენტარიზაციის და კვლევის აქტივობების შესაბამისობა მართვის პრაქტიკულ შესაძლებლობებთან:</p> <p>აუცილებელია <u>საბაზისო კვლევის და დაგეგმვის საჭიროებების</u> უფრო რეალურად განსაზღვრა ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი დაცული ტერიტორიების ეფექტიანი დაფუძნებისა და მათი მართვის თავდაპირველი დაგეგმვისთვის; მაგალითად, აშკარაა, რომ საჭიროა ბიომრავალფეროვნების და სოციალური საჭიროებების სიღრმისეული პირველადი შეფასების/ინვენტარიზაციის ჩატარება ეფექტიანი ზონირებისთვის. ამასთან, შესაძლოა არ იყოს აუცილებელი ძვირადღირებული „ტყის მართვის გეგმების“ მომზადება (რაც ამჟამად მოითხოვება ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი დაცული ტერიტორიებისთვის).</p> <p>რეკომენდაცია: შესწავლილი იქნეს და განისაზღვროს დაცული ტერიტორიებისთვის საჭირო ძირითადი მონაცემების და კვლევების საჭიროება, რათა მოხდეს მართვის</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო)</p> <p>დონორი ორგანიზაციები და კონტრაქტორები, რომლებიც მხარს უჭერენ შესაბამისი დაცული ტერიტორიის განვითარებასა და მართვას.</p>

<p>პრაქტიკული დაგეგმვა. მომზადდეს მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები, თუ რომელი საბაზისო კვლევების და შეფასების ჩატარება აუცილებელი წინაპირობა დაცული ტერიტორიის დაარსებისთვის და მართვის დაგეგმვისთვის და რომელი არასავალდებულო. მაგალითად, ბიომრავალფეროვნების და სოციალური საჭიროებების შეფასება უნდა იყოს სავალდებულო წინაპირობა, მაგრამ გადაიხედოს სტანდარტული სატყეო გეგმების მომზადების აუცილებლობა/ მიზანშეწონილობა (რომლებიც უფრო ორიენტირებულია სატყეო ფონდზე, ვიდრე დაცულ ტერიტორიებზე).</p>	
<p>3. დაცული ტერიტორიები და ადგილობრივი თემები - შესაძლებელია ძალიან კარგი შედეგების მიღება და ურთიერთობების გაუმჯობესება, როდესაც დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები ადგილობრივ თემებთან ერთად მუშაობენ ბუნებრივ რესურსებსა და გარეულ ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაზე.</p> <p>ძალიან მნიშვნელოვანი პრეცედენტი პროექტის განხორციელების დროს იყო ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ადგილობრივი ოჯახების აქტიური მხარდაჭერა თხილის ნაჭუჭების მარაგის ეფექტიან შესყიდვაში. ეს დაეხმარა ეროვნულ პარკს და ადგილობრივ ოჯახებს საშუალება მიეცა მოთხოვნის შემცირებაში, რაც ადმინისტრაციისთვის წარმოადგენს ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურ აქტივობას, რომელსაც დიდი დრო მიაქვს. ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ძალიან ღირებული მხარდაჭერის მეორე მაგალითია დახმარება ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში. ადგილობრივი ოჯახები, საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ, ეროვნულ პარკს უკავშირებენ ზარალს, რომელიც გარეული ცხოველებისგან ადგებათ და ამიტომ, საჭიროა ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ძალისხმევა, რომ ამას დაუპირისპირდეს.</p> <p>რეკომენდაცია: დაცული ტერიტორიების სააგენტომ, დონორების მხარდაჭერით, უკეთ უნდა განსაზღვროს ეროვნული პარკების ადმინისტრაციების მოვალეობები და გააფართოოს მათი მანდატი, რომ მათ შეძლონ ეროვნული პარკების უშუალო საზღვრებს მიღმა აქტივობების მხარდაჭერა, რათა შემცირდეს საფრთხეები და გაუმჯობესდეს ურთიერთობები ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობასთან. ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი დაცული ტერიტორიების ამკარა პრობლემურ საკითხებს შორისაა: საშუალება მიეცა</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო)</p> <p>დონორი ორგანიზაციები და კონტრაქტორები, რომლებიც მხარს უჭერენ შესაბამისი დაცული ტერიტორიის განვითარებასა და მართვას.</p>

<p>ქანთან დაკავშირებული კონფლიქტის/პრობლემების შემცირება (მიწოდების გაუმჯობესება, მოთხოვნის შემცირება), ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემები. ამ თვალსაზრისით არსებობს საერთაშორისო პრაქტიკის უამრავი მაგალითი - ბევრ ეროვნულ პარკს და მსგავს დაცულ ტერიტორიას ჰყავს პერსონალი, რომელიც მუშაობს მიმდებარე თემების განვითარებასთან, რესურსების გამოყენებასა და კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.</p>	
<p>4. მეგობართა ასოციაციები: ფინანსური მდგრადობის მიღწევა ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას ორგანიზაციის დაარსების მიზნები, უმნიშვნელოვანესია გრძელვადიანი შედეგისთვის და წარმოადგენს ერთ-ერთი მთავარ გამოწვევას.</p> <p>პროექტის გამოცდილებით, ყველაზე დიდი გამოწვევა დაცული ტერიტორიების მხარდასაჭერად შექმნილი სათემო ორგანიზაციებისთვის არის მათი ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი გრძელვადიანი არსებობისა და პოზიტიური ზეგავლენისათვის. ბევრი დონორი პროექტი ხელს უწყობს ასეთი ორგანიზაციების შექმნას, როგორც პროექტის ზოგიერთი ასპექტის პრაქტიკული განხორციელების ხელშემწყობი საშუალებისა, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებს, გააძლიეროს მათი შესაძლებლობები დამოუკიდებლად გააგრძელონ არსებობა მას შემდეგ, რაც დონორი პროექტის მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება (პროექტის დასრულებასთან ერთად) შეწყდება. იმისთვის, რომ ეს შესაძლებლობა პროექტის დასრულების შემდეგაც იყოს უზრუნველყოფილი საჭიროა დიდი ძალისხმევა და განსაკუთრებით, სათემო ორგანიზაციის პერსონალის მენტალიტეტის და ოპერირების სტილის შეცვლა.</p> <p>რეკომენდაცია: დონორთა აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს არსებული სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერას ან ახალი ორგანიზაციების შექმნას უნდა მოიცავდეს ისეთ მხარდაჭერას, რომელიც არა მხოლოდ ტექნიკურ და მენეჯერულ კომპეტენციებს გააძლიერებს, არამედ გააძლიერებს გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის შესაძლებლობებსაც. ამავე დროს საჭიროა დაცვის მექანიზმების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ სათემო ორგანიზაციებმა შეინარჩუნონ თავდაპირველი მიზანი და მანდატი და ფინანსური შემოსავლები არ გახდეს მათი საქმიანობის მამოძრავებელი ძალა.</p>	<p>საქართველოში მოქმედი საერთაშორისო დონორები და განვითარების სააგენტოები</p>

5. ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტი: ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა და მისი მოგვარების და ადგილობრივი თემებისთვის დახმარების აღმოჩენის არსებული მექანიზმები არაადეკვატურია.

კვლევა, რომელიც პროექტის მხარდაჭერით ჩატარდა, აჩვენებს, რომ გარეული ცხოველებისგან გამოწვეული ზარალი მნიშვნელოვანი ფაქტორია მაჭახელას ხეობის მოსახლეობის ცხოვრებაში და სავარაუდოდ, ანალოგიურ პრობლემას წარმოადგენს მაღალმთიანი აჭარის სხვა სოფლების თემებისთვის (და საქართველოს სხვა რეგიონებისთვის). თუმცა, ამ პრობლემის მოგვარების არსებული მექანიზმები არაეფექტიანია, ამასთან, მწირია ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა ეფექტიანი/ უსაფრთხო მეთოდების შესახებ, რომლებითაც შესაძლებელია ასეთი ზარალის შემცირება ან პრევენცია.

რეკომენდაციები: 1. დონორებმა და დაცული ტერიტორიების და მაღალმთიანი სასოფლო რეგიონების განვითარების მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთი მეთოდების და მიდგომების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მათ ხელმისაწვდომობას, რომლებითაც ადგილობრივი ოჯახები შეძლებენ გარეული ცხოველების მიერ მოსავლის/საქონლის დაზიანების პრობლემის გადაჭრას ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანებს ან გარეულ ცხოველებს. პროექტის ფარგლებში დემონსტრირებული 2 მეთოდი: საქონლის დაზღვევა ზარალის შესამცირებლად და უსაფრთხო ელექტროლობეები ასეთი ზარალის პრევენციისთვის გარეული ცხოველების დაუზიანებლად, წარმოადგენს ასეთ ვითარებაში გამოსაყენებელ 2 პრაქტიკულ მაგალითს.

2. საჭიროა სახელმწიფო უწყებების და განსაკუთრებით, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მხრიდან ამ პრობლემაზე უფრო აქტიური რეაგირება - საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ, ეროვნულ პარკებს უკავშირდება ასეთი ზარალი და პარკის ადმინისტრაციებმა უფრო აქტიური და დროული რეაგირება უნდა მოახდინონ; ასეთი რეაგირება მოიცავს: 1) დახმარებას ისეთი საშუალებების ხელმისაწვდომობაში, რომლებითაც ადგილობრივი მოსახლეობა თავად შეძლებს ამ პრობლემასთან გამკლავებას (ანუ, დაზღვევის ხელშეწყობა, ელექტროლობეების ხელმისაწვდომ ფასად მოძიება, სხვა); 2) განსაკუთრებულ შემთხვევებში, პირდაპირ ჩარევას და ცხოველების ლიკვიდირებას.

დაცული ტერიტორიების
სააგენტო

შესაბამისი დონორი
სააგენტოები, რომლებიც
მხარს უჭერენ დაცული
ტერიტორიის და
მაღალმთიანი სოფლების
განვითარებას.

2. დასული ტერიტორიების და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება

2.1 შესავალი

პროექტი მიზნად ისახავდა აჭარის კოლხურ ტყეებში კონსერვაციის და მიწათსარგებლობის გრძელვადიანი ეფექტიანობის ამაღლებას, რისთვისაც აუცილებელი იყო ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების გაძლიერება, რომ მათ შეძლონ სათანადო აქტივობების განხორციელება და განვითარება მომავალში.

შესაძლებლობის გასაძლიერებლად პროექტმა გამოიყენა მრავალმხრივი მიდგომა, რომელიც მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

- ძირითადი აღჭურვილობის და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა
- პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრენინგების ჩატარება დაცული ტერიტორიების პერსონალისა და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის - თეორიული/ნახევრად თეორიული ტრენინგის ჩატარება პროფესიონალი ტრენერების ან კონტრაქტორების მიერ.
- სასწავლო ტურების მოწყობას საქართველოს ფარგლებში
- პრაქტიკული სწავლება

ამ ბოლო კომპონენტის შემთხვევაში, პროექტის სტრატეგია იყო პროექტის ბენეფიციარების მაქსიმალური ჩართვა იმ აქტივობების განხორციელებაში, რასაც პროექტის კონტრაქტორები ასრულებდნენ. ამის მიზანი იყო, რომ ბენეფიციარებს შეძლებისდაგვარად დიდი პრაქტიკული გამოცდილება მიეღოთ, რაც გაზრდიდა მათ შესაძლებლობებს, დამოუკიდებლად განხორციელებინათ ასეთი აქტივობები მომავალში. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, მიზანი იყო ბენეფიციარების (დაცული ტერიტორიების პერსონალი, ადგილობრივი თემები, მომსახურების ადგილობრივი მიმწოდებლები, სხვა) პრაქტიკული გამოცდილების და „მუშაობის“ უნარის გაძლიერება.

ქვემოთ მოცემულია პროექტის მიერ განხორციელებული შესაძლებლობების გაძლიერების თითოეული კომპონენტის (ტრენინგი, სასწავლო ტური და პრაქტიკული სწავლება) მოკლე შეჯამება და მოსალოდნელი ზეგავლენის აღწერა.

2.2. თეორიული / ნახევრად თეორიული ტრენინგები

N	ტრენინგის თემატური მიმართულებები და დასახელება	განმახორციელებელი	მოკლე შინაარსი და ხანგრძლივობა	ზეგავლენის შეფასება
დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები				
1	დამწყებთა ტრენინგი და ცოდნის ფორმირება მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციისთვის	რამაზ გოხელაშვილი, ტელ.: 599 15 13 26 ლაშა მოისწრაფიშვილი ტრენინგის მოდული ხელმისაწვდომია	ტრენინგი მაჭახელას ეროვნული პარკის ახლადდანიშნული ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ორი მთავარი ამოცანა: <ul style="list-style-type: none"> • პერსონალის ცოდნის გაღრმავება დაცული ტერიტორიების შესახებ (ანუ, საბაზისო ცოდნა ეროვნული პარკის დანიშნულების და მისი შექმნის პროცესის შესახებ) • პერსონალის შესაძლებლობის გაძლიერება, გადასცენ ეს ცოდნა სხვებს (განსაკუთრებით, ადგილობრივ მოსახლეობას) <p>მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის 17 თანამშრომელი, მათ შორის: დირექტორი, დაცვის განყოფილების უფროსი, ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, ბულატერი და ყველა რეინჯერი. 2014 წლის 29-30 ნოემბერი</p>	ეროვნული პარკის ახლადდანიშნულმა ადმინისტრაციულმა პერსონალმა უკეთ გაიაზრა ეროვნული პარკის როლი და ფუნქცია, ასევე ამ ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ტრენინგის შემდეგ გაიმართა სამი შეხვედრა ადგილობრივ თემებთან, სადაც გამოყენებული იქნა ტრენინგზე მიღებული ცოდნა. ტრენინგმა დიდი სარგებელი მოიტანა და მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ეროვნული პარკის ფუნქციური დაარსების დროს წინააღმდეგობის და პოტენციური კონფლიქტის შემცირების თვალსაზრისით.
2	ტრენინგი მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციისთვის	ალექსანდრე გავაშელიშვილი (ილიას უნივერსიტეტი)	2015 წლის 19 დეკემბერი. ტრენინგში მონაწილეობდა 4 წამყვანი თანამშრომელი: მაჭახელას ეროვნული პარკის დი-	ეროვნული პარკების პერსონალი იცნობს გეოინფორმაციული სისტემის საბაზისო კონცეფციას, აპლიკაციას და შეუძლია მისი მარტივი გამოყენება.

	გეოინფორმაციული სისტემის აპლიკაციასა და გამოყენებაზე (ეროვნული პარკის საბაზო კვ-ს ჩატარების დროს)		რექტორი, დაცვის განყოფილების უფროსი და ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, მტირალას ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი	
3	ტრენინგი ეფექტიანი მომსახურების და კომუნიკაციის საკითხებზე (Service+)	მარიკა კვანტრიშვილი ტელ: 577777351 marikageorg@yahoo.com ხელმისაწვდომია ტრენინგის მოდულის აღწერა	ერთდღიანი (8 საათი) ტრენინგი ეფექტიანი მომსახურების და კომუნიკაციის (მომსახურება+) საკითხებზე ჩატარდა მტირალას, მაჭახელას და კინტრიშის დაცული ტერიტორიების 30 თანამშრომელს 2016 წლის ნოემბერში.	ტრენინგის მონაწილეებმა გაიღრმავეს ცოდნა ეროვნული პარკის ვიზიტორებისთვის ეფექტიანი მომსახურების გაწევის თაობაზე, კერძოდ, გაეცნენ მომსახურების სტანდარტებს და ძირითად პრინციპებს; შეიტყვეს, როგორ განვიითარონ საჭირო უნარ-ჩვევები ეფექტიანი მომსახურების გასაწევად და გამოიყენონ საჭირო მიდგომები/მეთოდები ვიზიტორთა კმაყოფილების გასაძლიერებლად.
4	ტრენინგი მართვის გეგმის შემუშავებაზე.	ანზორ გოგოთიძე, დაცული ტერიტორიების მართვის კონსულტანტი. ტელ: 577921133 ტრენინგის მოდულები ხელმისაწვდომია.	ტრენინგების ციკლი მართვის გეგმის შემუშავებაზე ჩატარდა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და საკონსულტაციო საბჭოს წევრებისთვის 2016 წლის მაის-ივლისში.	ტრენინგებს დაესწრო მაჭახელას პერსონალის უმრავლესობა, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალი, უფროსი რეინჯერები და რეინჯერები. მონაწილეები გაეცნენ მართვის გეგმის შემუშავების, მათ შორის მიზნების და ამოცანების განსაზღვრის და პროცესის განხორციელების საუკეთესო მაგალითებს. ხაზგასმული იყო მართვის გეგმის შემუშავების დროს დაგეგმვაში მთავარი მხარეების თანამონაწილეობის მნიშვნელობა.

5	<p>ტრენინგის კურსი საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე სამართალდარღვევების გამოვლენა და შემდგომი რეაგირება</p>	<p><u>ნატო სულთანნიშვილი</u>, გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის განათლების პროექტების სამსახურის უფროსი <u>თომა დეკანოიძე</u>, სატყეო ექსპერტი <u>შორენა ყავველაშვილი</u>, მოსამართლე</p> <p>ტრენინგის მოდული ხელმისაწვდომია.</p>	<p>ტრენინგის კურსი საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე კანონდარღვევების აღმოჩენის და მათზე რეაგირების თემაზე მაჭახელას, მტირალასა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისთვის (სულ 31 რეინჯერი). ტრენინგი ჩატარდა 2016 წლის აპრილში.</p>	<p>აჭარის დაცული ტერიტორიების პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება იურიდიულ/პროცედურულ ასპექტებში (უკანონო ქმედებების კონტროლი და სამართალდარღვევებზე რეაგირება).</p> <p>ღია ცის ქვეშ ჩატარებული ლექციების და პრაქტიკული სავლელე კურსის, ასევე იმიტირებული სასამართლო პროცესის გზით, აჭარის სამი დაცული ტერიტორიის პერსონალმა გაიუმჯობესა შესაძლებლობები, ეფექტიანად დაიცვას ტერიტორია კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისგან და განახორციელოს ასეთ ქმედებებზე შესაბამისი რეაგირება.</p>
6	<p>ტრენინგის კურსი დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში</p>	<p>მამუკა ნაკაშიძე ექიმი კონსულტანტი ტელ: 599 584 000</p>	<p>ტრენინგი ჩატარდა მაჭახელას, მტირალას და კინტრიშის თანამშრომლებისთვის 2016 წლის 18-19 და 25 ოქტომბერს.</p>	<p>ტრენინგი მოეწყო 3 დაცული ტერიტორიის მთელი პერსონალისთვის</p> <p>ზეგავლენა: დაცული ტერიტორიების პერსონალს აქვს საბაზისო უნარები და შეუძლია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა დაცულ ტერიტორიაზე (თანამშრომლის ან ვიზიტორისთვის), მათ შორის: 1. გული და ფილტვები: ხელოვნური სუნთქვის ჩატარება</p>

				<p>2. სისხლმდენი ჭრილობები: სისხლდენის შეჩერება, დამუშავება, დაცვა</p> <p>3. სასუნთქი გამავლობის აღდგენა (სუნთქვის შეფერხების/ სასუნთქი გზების დახშობის დროს)</p> <p>4. მოტეხილობები</p>
7	<p>ტრენინგის კურსი დაცული ტერიტორიების რეინჯერებისთვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების და კონფლიქტის მართვის საკითხებზე</p>	<p>საკონტაქტო პირი: ნატა ფურცელაძე</p> <p>სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს უფროსი; გმირი კურსანტების ქ. #4, თბილისი 0178,</p>	<p>ტრენინგი აჭარის დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისთვის ჩატარდა თბილისში, სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოში (2016 წლის 28 ნოემბერი – 1 დეკემბერი. 05-08 დეკემბერი)</p>	<p>აჭარის 3 დაცული ტერიტორიის 26 თანამშრომელმა შეიძინა უნარები და კვალიფიკაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეფექტიანი კომუნიკაცია და კონფლიქტების მართვა 2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული სამართალწარმოება. 3. ცეცხლსასროლი იარაღის უსაფრთხო გამოყენება და შესაბამისი კანონმდებლობა.
8	<p>დაცული ტერიტორიების პერსონალის, მეგობართა ასოციაციის და ნორჩი და სათემო რეინჯერების ტრენინგი</p>	<p>ბეჟან ლორთქიფანიძე, თეიმურაზ პოპიაშვილი</p> <p>სახეობათა კონსერვაციის ცენტრი “ნაკრესი“</p>	<p>თეორიული ტრენინგი ჩატარდა მტირალას ადმინისტრაციულ შენობაში 2017 წლის 10 აპრილს. ტრენინგი გაიარა აჭარის 3 დაცული ტერიტორიის 28 თანამშრომელმა, მათ შორის სამმა დირექტორმა, რესურსების სპეციალისტებმა და დაცვის სამსახურების ხელმძღვანელებმა.</p>	<p>გაღრმავდა ცოდნა ბიომრავალფეროვნების კვლევა/მონიტორინგის ჩატარებში.</p>

	<p>ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში.</p>	<p>ტელ: +995 32 253 71 25</p> <p>ტრენინგის მოდულები ხელმისაწვდომია.</p>	<p>ტრენინგს ასევე ესწრებოდნენ მტირალას ეროვნული პარკის სათემო რეინჯერები და ნორჩი რეინჯერები.</p> <p>ტრენინგის ერთდღიანი სავლელე სესიები ჩატარდა სამივე დაცულ ტერიტორიაზე. ამ სესიებს დაესწრნენ შესაბამისი პარკების შერჩეული რეინჯერები, რესურსების სპეციალისტები და დაცვის სამსახურების ხელმძღვანელები.</p>	
<p>9</p>	<p>SMART (სივრცითი მონიტორინგის და ანგარიშგების ინსტრუმენტი) ტრენინგის კურსი ფოთში</p>	<p>რაჯ ამინი, ლონდონის ზოოლოგიის საზოგადოება;</p> <p>მიხეილ ფოცხიშვილი, საერთაშორისო ორგანიზაცია ფაუნა და ფლორა - საქართველო.</p> <p>ტელ: 555868688</p> <p>ტრენინგის მოდულები ხელმისაწვდომია.</p>	<p>სივრცითი მონიტორინგის და ანგარიშგების ინსტრუმენტის თაობაზე (SMART) გაცნობითი ტრენინგი ორგანიზებული იქნა საქართველოს 6 დაცული ტერიტორიის, მათ შორის მაჭახელას, მტირალას, კინტრიშის, კოლხეთის, ლაგოდეხის და ბორჯომი-ხარაგაულის ტერიტორიების ადმინისტრაციების წარმომადგენლებისთვის.</p> <p>SMART ტრენინგი ჩატარდა 2018 წლის 10-11 მარტს, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში. მონაწილეობა მიიღო 15 წარმომადგენელმა.</p>	<p>გაუმჯობესდა ცოდნა დაცული ტერიტორიების მონიტორინგის და პატრულირების ამ კონკრეტული ინსტრუმენტის შესახებ.</p>

10	<p>SMART (სივრცითი მონიტორინგის და ანგარიშგების ინსტრუმენტი) ტრენინგი მტირალას ეროვნულ პარკში</p>	<p>მიხეილ ფოცხიშვილი ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის საერთა-მორისო ორგანიზაცია - საქართველო. ტელ: 555868688</p> <p>რაჯ ამინი, ლონდონის ზოოლოგიის საზოგადოება (დისტანციური მხარდაჭერა)</p>	<p>სიღრმისეული SMART ტრენინგის 1-ლი ფაზა ჩატარდა მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკების თანამშრომლებისთვის მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ შენობაში 2018 წლის 25-29 ივნისს. ტრენინგი გაიარა სულ 7-მა მონაწილემ.</p>	<p>ტრენინგის მონაწილეებს შეუძლიათ პატრულირების და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მონაცემთა მოდელის შემუშავება, მონაცემთა მოდელის კონფიგურირება, მობილური მოწყობილობების გამოყენება და მონაცემების შეგროვება.</p>
11	<p>SMART (სივრცითი მონიტორინგის და ანგარიშგების ინსტრუმენტი) ტრენინგი ბორჯომის დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციაში</p>	<p>ლევან თაბუნიძე, „ნაკრესი“</p> <p>ვეი ლიმ იაპი, SMART ოფიცერი ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) ქსელი</p>	<p>ტრენინგი მოაწყო კავკასიის ბუნების ფონდმა (CNF) ბორჯომის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისთვის. აჭარის დაცული ტერიტორიების პროექტმა უზრუნველყო მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკების 4 თანამშრომლის მონაწილეობა.</p>	<p>ტრენინგის შედეგად მონაწილეებმა შეიძინეს ცოდნა, რომელიც მათ ეხმარება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გაიაზრონ SMART-ის როგორც ინსტრუმენტის როლი დაცული ტერიტორიის მართვასა და გაუმჯობესებაში. 2. დეტალურად განმარტონ ინფორმაციის შეგროვების, გაზიარების და ანგარიშგების პროცედურები და ფუნქციები და პასუხისმგებლობები ამ საქმიანობის განხორციელებაში. 3. გაიაზრონ ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც მომხმარებლები შესაძლოა დადგნენ SMART-ის ეფექტიანი განხორციელების დროს.

				<p>4. გაიზიარონ SMART-ის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება სხვა არსებული SMART ობიექტებიდან.</p> <p>5. გაიზიარონ SMART-ის რამდენიმე ფუნქცია და მომავალი გაძლიერების შესაძლებლობები დაცული ტერიტორიის ეფექტიანი მართვისთვის.</p> <p>6. გამოიყენონ SMART-ზე დაფუძნებული მოქნილი მართვის მიდგომა დაცული ტერიტორიის ფუნქციონირების, მონიტორინგის და შეფასების მიმართ.</p>
ადგილობრივი თემის განვითარება				
12	<p>ტრენინგის პროგრამა ეკოტურიზმის პროდუქტის შემუშავების, მარკეტინგის და პოპულარიზაციის თემაზე.</p>	<p>ნატალია ბახტაძე-ინგლენდერი, ტელ: 599957268; ნინო მარჯანიძე, ნატა რობიტაშვილი,</p> <p>საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია.</p>	<p>ტრენინგი ჩატარდა მაჭახლის ხეობაში ტურისტული სერვისის არსებული და პოტენციური მიმწოდებლებისთვის (საოჯახო სასტუმროების მფლობელები, კვების სერვისის მიმწოდებლები, აგროტურისტული ფერმები, ხალხური რეწვის ოსტატები, გიდები). ტრენინგი ჩატარდა 2017 წლის 13-15 ივნისს სოფელ ქედქედში სასტუმროში „ჩვენებური“ და ამავე დროს, სოფელ აჭარისაღმართის საჯარო სკოლაში.</p> <p>ტრენინგის მოდულები: 1: ეკოტურიზმის პრინციპები;</p>	<p>ტრენინგის შედეგად ტურისტული სერვისის არსებულმა და პოტენციურმა ადგილობრივმა მიმწოდებლებმა გაიუმჯობესეს უნარები და მიიღეს სრული ინფორმაცია მაჭახლის ხეობაში სერვისის ხარისხის გაზრდის და ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციის კუთხით.</p>

			2: ტურისტული პროდუქტის შემუშავება; 3: მეწარმეობის პრინციპები.	
13	ტრენინგი ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომის (FPA) შესახებ ცნობიერების ამაღლების და ამ მიდგომის გამოყენებისთვის შესაძლებლობების გაძლიერების თაობაზე	გულო სურმანიძე მანანა ქარცივაძე შავი ზღვის ეკო აკადემია ტელ: 593585628	ტრენინგი საპროექტო წინადადების მომზადებაში მოეწყო მაჭახლის ხეობის 4 ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივი თემების ლიდერებისათვის.	თემების წარმომადგენლებს აქვთ საპროექტო წინადადების მომზადების უნარები. წარმოდგენილი წინადადებები დააფინანსა პროექტმა და განახორციელა თემების წევრებმა. ამ აქტივობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მაჭახელას ეროვნული პარკისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების გაუმჯობესებას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (ყველა წინადადება ეხებოდა თემების ინფრასტრუქტურულ პრობლემებს).
14	ტრენინგი საცხოვრებლის თბოიზოლაციის საკითხებზე	ლიანა ღარიბაშვილი, საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრი; ტელ: 599548782 ტრენინგის მოდული (საინფორმაციო ბუკ- ლეტი) ხელმისაწ- ვდომია	პრაქტიკული ტრენინგი სახლის თბოიზოლირების სხვადასხვა მეთოდზე ჩატარდა მაჭახლის ხეობის 20 ოჯახს. გარდა ამისა, ადგილობრივ ოჯახებს დაურიგდა 100-მდე ბროშურა, სადაც დეტალურად არის აღწერილი დათბუნების მეთოდები.	20-მდე ოჯახმა მიიღო ცოდნა თბოიზოლირების ტექნიკის შესახებ და განახორციელა საკუთარი სახლების დათბუნება, რის შედეგადაც შემცირდა სითბური დანაკარგები.

15	<p>ტრენინგი თხილის ნაჭუჭის ღუმლის გამოყენებაზე</p>	<p>ლიანა დარიბაშვილი საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრი</p> <p>ტელ: 599548782</p> <p>ტრენინგის მოდული (საინფორმაციო ბუკლეტი) ხელმისაწვდომია</p>	<p>პრაქტიკული ტრენინგი თხილის ნაჭუჭის ღუმლის და საშეშე მერქნის ალტერნატივად თხილის ნაჭუჭის გამოყენებაზე ჩაუტარდა მაჭახლის ხეობის 11 ოჯახს.</p>	<p>11 ოჯახი შეშის ნაცვლად თხილის ნაჭუჭს იყენებდა საწვავად 2016 წელს. 2017-2018 წლებში, ამ კარგი მაგალითის გადაღების გზით, ასეთი ოჯახების რაოდენობამ 50 -ს გადააჭარბა. შედეგად, ტყეებში დაიზოგა 1000 მ³ საშეშე მერქანი ბოლო 3 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ამ მიდგომამ ეკონომიკური სარგებელი მოუტანა ადგილობრივ მოსახლეობას გათბობის ხარჯების შემცირების სახით.</p>
16	<p>ტრენინგი მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლის დაყენებასა და გამოყენებაზე</p>	<p>ლიანა დარიბაშვილი საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრი</p> <p>ტელ: 599548782</p> <p>ტრენინგის მოდული (საინფორმაციო ბუკლეტი) ხელმისაწვდომია</p>	<p>პრაქტიკული ტრენინგი მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლის დაყენებასა და გამოყენებაზე ჩაუტარდა მაჭახლის ხეობის 5 ოჯახს.</p>	<p>5 ოჯახი იყენებდა მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლებს საშეშე მერქნის ნაცვლად. 2018 წელს, ამ კარგი მაგალითის გადაღების გზით, ასეთი ოჯახების რაოდენობა გასამმაგდა. შედეგად, თბილ პერიოდში დაიზოგა 100 მ³-მდე საშეშე მერქანი ბოლო 2 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ამ მიდგომამ ეკონომიკური სარგებელი მოუტანა ადგილობრივ მოსახლეობას გათბობის ხარჯების შემცირების და კომფორტის გაზრდის სახით. ერთ-ერთმა ბენეფიციარმა შეისწავლა მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლის დამონტაჟება და ამ სერვისის სთავაზობს სხვებს.</p>

17	<p>ტრენინგი ელექტროლობის დაყენებასა და ოპერირებაზე</p>	<p>ბეჟან ლორთქიფანიძე თეიმურაზ პოპიაშვილი</p> <p>სახეობათა კონსერვაციის ცენტრი „ნაკრესი“ ტელ: +995 32 253 71 25 ტრენინგის მოდულები ხელმისაწვდომია</p>	<p>11 ოჯახს ჩაუტარდა ტრენინგი ელექტროლობის დაყენებაზე, ოპერირებასა და მოვლა-პატრონობაზე.</p>	<p>გარდა იმისა, რომ მოსავალი ზიანს გადაურჩა 2018 წელს, 11 ოჯახს შეუძლია ელექტროლობის გამოყენება და ასევე, ამ მეთოდის პოპულარიზება და მეზობლებისთვის რჩევის მიცემა, რომ დააყენონ ეს სისტემა.</p>
18	<p>ტრენინგის კურსი ღვინის ტურიზმის, ღვინის დაყენების და მევენახეობის საკითხებზე.</p>	<p>ნატალია ბახტაძე- ენგლენდერი ტელ: 599957268 საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია</p> <p>გიორგი ბარისაშვილი ქეთი ნინიძე ქეთევან ჯურხაიძე ირმა მდინარაძე</p>	<p>მაჭახლის ხეობიდან შერჩეულ 15 მეღვინეს ჩაუტარდა ტრენინგების ციკლი 2018 წლის თებერვალ-აპრილში. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ღვინის ტურიზმი და ღვინის დაგეგმვა - ღვინის დამზადება სახლის პირობებში - ქართული ქვევრი, ღვინის მარანი და მისი აშენება - ღვინის ჩამოსხმა და დავარგება - მევენახეობა და ნიადაგის მეცნიერება 	<p>15 მეღვინემ:</p> <ul style="list-style-type: none"> - გაიღრმავა ცოდნა ღვინის ტურიზმის კონცეფციისა და პრაქტიკის შესახებ - შეიძინა ღვინის წარმოების პრაქტიკული უნარი - შეიძინა ღვინის ტრადიციული მეთოდით დამზადების ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები - შეიძინა ღვინის შენახვის და სათანადო დაცვის ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები - გაიუმჯობესა ყურძნის ტრადიციული კულტივირების (ყურძნის ტრადიციული ჯიშების ხელახლა დანერგვასთან დაკავშირებით) პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ცოდნა

19	ტრენინგი ბოსტნეულის სათბურებში მოყვანაზე	გულნაზ სურმანიძე ტელ: 593585628 სოსო შერვაშიძე შავი ზღვის ეკო აკადემია	2017 წლის სექტემბერში მაჭახლის ხეობის დამხმარე ზონის სოფლებიდან შერჩეულ 8 ოჯახს ჩაუტარდა ტრენინგი სათბურებში ბოსტნეულის მოყვანაზე მთელი წლის განმავლობაში.	ტრენინგის მონაწილეებმა შეიძინეს უნარ-ჩვევები, მოიყვანონ ბოსტნეული სათბურებში. შერჩევის შემდგომ ეტაპზე განისაზღვრა 5 ოჯახი, რომლებსაც დახმარება გაეწია მცირე ზომის, მარტივი ტიპის სათბურების მშენებლობაში.
20	მაჭახლის ხეობის ტრადიციული ფოლკლორული გუნდის ორგანიზაციული მხარდაჭერა და ტრენინგი	ციური ცინცაძე გულნაზ სურმანიძე ტელ: 593585628 შავი ზღვის ეკო აკადემია	დაქირავებული იქნა გამოცდილი ფოლკლორისტი, ვინც კარგად იცნობს მაჭახლის ტრადიციულ ფოლკლორულ სიმღერებს. 4 თვის განმავლობაში ის კვირაში ორჯერ უტარებდა გაკვეთილებს ზემო ჩხუტუნეთის ფოლკლორულ ჯგუფს რეპერტუარის გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებაში. შესრულების გასაუმჯობესებლად ჯგუფს საჩუქრად გადაეცა აკორდეონი.	მოხდა ტრადიციული მუსიკალური კულტურის შენარჩუნება და შეიქმნა ტურისტებისთვის ტრადიციული მუსიკალური სერვისის შეთავაზების საფუძველი. ჯგუფმა სიმღერები პირველად შეასრულა მაჭახლის ხეობის ფესტივალზე 2017 წლის სექტემბერში.

2.3 სასწავლო ტურები

N	სად გაიმართა და რა თემაზე	მონაწილეები / ხანგრძლივობა	შედეგები / ზეგავლენა
1	სასწავლო ტური კახეთის დაცულ ტერიტორიებზე	მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები. 2015 წელი (14 მონაწილე)	თემის ცნობიერების ამაღლება და ეროვნული პარკის და მისი სარგებლის გააზრება. ზეგავლენა: ეროვნული პარკის მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება.
2	სასწავლო ტური თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე	მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და მაჭახელას დამხმარე ზონის	თემის ცნობიერების ამაღლება და ეროვნული პარკის და მისი სარგებლის გააზრება.

		ადგილობრივი თემის და თვითმმართველობის წარმომადგენლები (სულ 18 ადამიანი). თარიღი: 2017 წლის 19-23 ივლისი.	ზეგავლენა: ეროვნული პარკის მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და დაცული ლანდშაფტის შექმნის მხარდაჭერა.
3	მაჭახელში მცხოვრები ღვინის მწარმოებლების სასწავლო ტური მარტვილში, საოჯახო მეღვინეობის ტურისტულ ობიექტზე „ოდა“	მაჭახელში მცხოვრები ღვინის მწარმოებლები. 12 მონაწილე. თარიღი: 28.05.2018.	დაინტერესებულმა ოჯახებმა მაჭახლიდან უკეთ გაიაზრეს და გაიუმჯობესეს ცოდნა ღვინის ტურიზმის კონცეფციისა და განხორციელების და ღვინის წარმოების პრაქტიკული მეთოდების შესახებ.
4	სასწავლო ტური თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. თარიღი: 2018 წლის 24-28 აგვისტო. 12 ადამიანი.	მაჭახლის დაცული ლანდშაფტის შექმნის მხარდაჭერა. ყველა დაინტერესებული მხარის მიერ (მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი თემი, სხვა) დაცული ლანდშაფტის შექმნის გამოწვევებისა და პოტენციური სარგებლის უკეთ გააზრება და ასეთი ტერიტორიის პრაქტიკული მართვის საჭიროებების შესახებ ცოდნის გაღრმავება.

2.4 პრაქტიკული სწავლებები

ამ მიდგომის კონკრეტული მაგალითები:

აქტივობა / პროდუქტი	პრაქტიკული შესაძლებლობის გაძლიერების საშუალებები	ზეგავლენა
მაჭახელას ეროვნული პარკის მართვის დაგეგმვა	მაჭახელას ეროვნული პარკის პირველი მართვის გეგმის და საოპერაციო გეგმის შემუშავების პროცესი მოიცავდა შემდეგს: ა) ტრენინგი მართვის გეგმის შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპებზე (ევროკავშირის ტვინინგის პროექტის მიერ შემუშავებული პრინციპები და ეროვნული კონსულტანტის	დაცული ტერიტორიის პერსონალის წვლილი ამ გეგმებში მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ მოსალოდნელია (რამაც გაზარდა თანამონაწილეობის განცდა და განხორციელების შესაძლებლობა), გარდა ამისა, მათ მიიღეს მართვის გეგმის და საოპერაციო გეგმის შემუშავების

	<p>პრაქტიკული გამოცდილება) – იხილეთ ტრენინგი No.3 ზემოთ ბ) დაცული ტერიტორიის პერსონალის უშუალო მონაწილეობა დოკუმენტის სამუშაო ვარიანტის შემუშავებასა და დასრულებაში (საჯარო განხილვისთვის და შემდგომი დამტკიცებისთვის).</p>	<p>პრაქტიკული გამოცდილება, რაც გააძლიერებს მათ შესაძლებლობას, დამოუკიდებლად შეასრულონ ასეთი სამუშაო მომავალში.</p>
<p>მაჭახელას ეროვნული პარკის საზღვრების დემარკაციის და ზონირების პროცესები.</p>	<p>საზღვრების დეტალური დემარკაციის და ინვენტარიზაციის/ზონირების პროცესში გამოყენებული იყვნენ კონტრაქტორები.</p> <p>თუმცა, პროექტი მოითხოვდა, რომ კონტრაქტორებს აქტიურად ჩაერთოთ ყველა შესაბამისი მხარე, განსაკუთრებით, ეროვნული პარკის ადმინისტრაციის პერსონალი და ადგილობრივი თემები საზღვრების დემარკაციაში, და ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოს სათავე ოფისის პერსონალი ეროვნული პარკის ზონირებაში.</p>	<p>მიუხედავად იმისა, რომ ამ მიდგომის გამო ორივე სამუშაოს შესრულებას ბევრად მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო და საკმაოდ ბევრი რამის დათმობა და შესწორება გახდა საჭირო, საბოლოოდ მიღებული შედეგები ბევრად უფრო მყარი და მდგრადი იყო, ვიდრე ისინი იქნებოდა, მართვის გეგმა რომ უბრალოდ კონტრაქტორს შეემუშავებინა.</p> <p>გარდა ამისა, ამ პროცესებიდან მიღებული გამოცდილების შედეგად ყველა მხარემ გაიაზრა საერთო სიტუაცია და მიიღო პრაქტიკული ცოდნა, როგორ განახორციელოს მსგავსი საქმიანობა მომავალში; ასევე ეს დაეხმარა ეროვნული პარკის პერსონალს საჭირო პრაქტიკულ სამუშაოებზე ფოკუსირებაში.</p>
<p>მაჭახლის თემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა</p>	<p>ეს სამუშაო გულისხმობდა ადგილობრივ თემთან მუშაობას თანამონაწილეობის პრინციპით. ადგილობრივი მოსახლეობის სემინარები გაიმართა მონაწილეობის მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით (თემის რუკის შედგენა, რესურსების განსაზღვრა, სეზონური კალენდრები, პრობლე-</p>	<p>სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესმა და ამ პროცესში გამოყენებულმა მიდგომამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მაჭახელას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის თემების მობილიზებას, კომუნიკაციის გაუმ-</p>

	<p>მების ანალიზი „პრობლემათა ხის“ გამოყენებით, პრობლემების გადაჭრის გზების ანალიზი, სარგებლის და ხარჯის ანალიზი, სხვა). ამ სემინარების დროს გამოყენებული იყო იდენტიფიცირების და შეფასების, შედარებითი ანალიზის, თანამონაწილეობითი ხასიათის განხილვის მეთოდების მაგალითები.</p> <p>შედეგად მომზადდა მაჭახლის თემის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნა ხედვა, ღირებულებები, პრობლემების ანალიზი და იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის გზები.</p>	<p>ჯობესებას, ნდობის გაჩენას, დამოკიდებულების შეცვლას და გეგმით შეთანხმებული ქმედებების წარმატებით განხორციელებას.</p>
<p>ნორჩი და სათემო რეინჯერების პროგრამა</p>	<p>პროგრამის მიზანი იყო ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება; ახალგაზრდების და თემის წევრების დაცული ტერიტორიის აქტივობებში მონაწილეობის გაზრდა; ეკოლოგიური მონიტორინგის უნარ-ჩვევების განვითარება.</p> <p>პროგრამა განხორციელა მტირალას და მაჭახელას მეგობართა ასოციაციამ. პროგრამაში მონაწილეობდა მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკების მახლობლად მცხოვრები სამიზნე თემების 8 სკოლის 120 მოსწავლე. გარდა ამისა, მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონის 5 თემის წევრები მონაწილეობდნენ სათემო რეინჯერის პროგრამაში.</p> <p>ნორჩი რეინჯერების აქტივობებს შორის იყო: ეროვნული პარკის რეინჯერებთან ერთად აჭარის ეროვნულ პარკებში დაგეგმილი ერთდღიანი ვიზიტები, ეკოტურები საქართველოს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე, გარემოსდაცვითი კალენდრის სხვადასხვა თარიღის აღნიშვნაში მონაწილეობა, ასევე,</p>	<p>პროგრამამ ხელი შეუწყო ახალგაზრდებისა და 2 დაცული ტერიტორიის დამხმარე ზონების თემების წევრების ცნობიერების დონის ამაღლებას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ურთიერთობა მათსა და ეროვნული პარკების ადმინისტრაციებს შორის.</p>

	<p>ინტელექტუალური თამაშების, კონკურსების, დასუფთავების დღეების ორგანიზება, სხვა.</p>	
<p><i>საშეშე მერქნის შემცირების საპილოტე ცდები</i></p>	<p>პრაქტიკული ტრენინგი საშეშე მერქნის სხვადასხვა ალტერნატივის ტესტირებაში, მონაწილეების უშუალო ჩართულობით.</p>	<p>11 ოჯახს ჩაუტარდა პრაქტიკული ტრენინგი თხილის ნაჭუჭის ღუმლის ოპერირებაში.</p> <p>ღუმელების მინიმუმ ერთ ადგილობრივ დამამზადებელს გაეწია დახმარება ღუმელის შესაბამისად გადაკეთებაში.</p> <p>5 ოჯახს ჩაუტარდა პრაქტიკული ტრენინგი მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლის ოპერირებაში.</p> <p>ერთმა სკოლამ შეიძინა პრაქტიკული გამოცდილება საშეშე მერქნის ალტერნატივად ბიომასის ბრიკეტების გამოყენებაში.</p>
<p><i>ადამიანსა და მტაცებელ ცხოველებს შორის კონფლიქტის შემსუბუქების აქტივობები</i></p>	<p>მაჭახლის ხეობაში ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტის ხასიათის და მიზეზების დეტალური შესწავლა, ამ კონფლიქტის პრევენციის/შემცირების ზომების იდენტიფიცირება და ტესტირება და ანგარიშის მომზადება, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი შერჩეული მეთოდების გამოყენება და რეკომენდაციებით.</p> <p>პრაქტიკული ტრენინგი ელექტროდობის გამოცდაში მონაწილეების უშუალო ჩართულობით.</p>	<p>პროგრამაში უშუალოდ ჩართული 100-მდე ოჯახისთვის ცნობილია ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტის შემცირების ზომების სიარგებელი. გარდა ამისა, კვლევის შედეგები გასაჯაროვდება რეგიონული და ეროვნული მაშტაბით მედია კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.</p> <p>15-მა ოჯახმა მიიღო პრაქტიკული გამოცდილება ელექტროდობის სისტემების დაყენებასა და ოპერირებაში.</p>

2.5 ინფრასტრუქტურის განვითარება და აღჭურვილობით მხარადაჭერა

- დაცული ტერიტორიები

აღწერა	მიზანი	თარიღი
2 ოთახის რემონტი ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დროებით შენობაში	ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ხელშეწყობა, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს ფუნქციური აქტივობების შესრულება მაჭახლის ხეობაში	2014/15
ეროვნული პარკის ადმინისტრაციული შენობის და ვიზიტორთა ცენტრის ფასადის სრული რესტავრაცია და მიმდებარე ტერიტორიის/ეზოს განახლება ვიზიტორთა ცენტრის გამოფენის დიზაინის მომზადება	განხორციელდა ინტერიერის განახლებასთან ერთად დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ. მიზნად ისახავდა ეროვნული პარკის ადმინისტრაციის უზრუნველყოფას გრძელვადიანი ოფისითა და ვიზიტორთა ცენტრით მაჭახლის ხეობაში.	2017 - 2018
სასაზღვრე ბოძები (107 ცალი), ნიშნულები და საინფორმაციო დაფები	სასაზღვრე ბოძების მნიშვნელოვან ადგილებზე განთავსება მიზნად ისახავს საზღვრების მკაფიოდ განსაზღვრას და ადგილობრივი თემების მიერ ტერიტორიის საზღვრების შემთხვევითი დარღვევის მინიმუმამდე შემცირებას. ნიშნები და საინფორმაციო დაფები საჭირო იყო საზოგადოების ინფორმირებისთვის ეროვნული პარკის და ადმინისტრაციის/ვიზიტორთა ცენტრის ადგილმდებარეობის შესახებ.	2017-18
ტურისტული ბილიკების ნიშნები და განსაზღვრება	მაჭახელას ეროვნულ პარკში ტურიზმის გაზრდა და პარკის ცნობადობის ამაღლება.	2017-18
საველე აღჭურვილობა (რადიო-გადამცემები, კამერები, ვებსაგმელები, პირველადი სამედიცინო დახმარების კომპლექტები, იარაღის შესანახი კარადა, ზურგჩანთები, სხვა)	მაჭახელას და მტირალას პერსონალის უზრუნველყოფა საჭირო აღჭურვილობით ეფექტიანი საველე პატრულირებისთვის.	2016-18

ფოტო ხაფანგები, SMART მონაცემების (სივრცითი მონიტორინგის და ანგარიშგების ინსტრუმენტი) მობილური მოწყობილობები	მონიტორინგის და მონაცემთა შეგროვების ეფექტიანობის გაუმჯობესება ეროვნულ პარკებში (მტირალა და მაჭახელა)	2016-18
ავტომობილი შევროლე ნივა (მეორადი)	მაჭახელას პერსონალის სატრანსპორტო კომუნიკაციის/ლოგისტიკის გაუმჯობესება ეროვნული პარკის ადმინისტრაციულ ოფისთან.	2015
ხანძრების და კონტროლის 5 მოწყობილობა მაჭახელას ეროვნული პარკისთვის	ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება ტყის ხანძრების პრევენციასა და კონტროლში (მტირალა და მაჭახელა)	2017/18
საოფისე აპარატურა და მოწყობილობა (კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორი, სამზარეულოს მოწყობილობა, სხვა)	მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სრულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა	2016-18
კომპიუტერული/სერვერი Triple I აპლიკაციისთვის მტირალას ეროვნულ პარკში	მტირალას ეროვნული პარკის ჩართვა „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა კავკასიაში“ პროგრამის (გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი) Triple I საინფორმაციო მართვის სისტემის საცდელ პროექტში.	2016

• მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია

აღწერა	მიზანი	თარიღი
საოფისე აპარატურა და მოწყობილობა (კომპიუტერები, ავეჯი)	მეგობართა ასოციაციის ადმინისტრაციის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მისი დაფუძნების შემდეგ.	2016
ნორჩი და სათემო რეინჯერების პროგრამის აღჭურვილობა და მასალები (ციფრული ფოტოაპარატი, ჭოგრიტები, ზურგჩანთები, კარვები, ჩექმები, ქუდები/მაისურები, საველე გზამკვლევები, საოფისე ნივთები, სხვა)	სათემო და ნორჩი რეინჯერების პროგრამების გამოცდა და განვითარება მტირალას და მაჭახელას ეროვნულ პარკებში ეროვნული პარკების ადმინისტრაციებთან თანამშრომლობით.	2017-18

2.6. შესაძლებლობების გაძლიერება - მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები

მიღებული გამოცდილება
<p>1. თეორიული ტრენინგის პარალელურად პრაქტიკული გამოყენების დემონსტრირება (თუკი ეს შესაძლებელია) ბევრად უფრო ეფექტიანია გრძელვადიანი და მდგრადი კომპეტენციების შესაქმნელად, ვიდრე მხოლოდ თეორიული ტრენინგი</p>
<p>2. კომპლექსური ტრენინგი, რომელიც მოიცავს სწავლებებს მთელ რიგ საკითხებზე სხვადასხვა დაინტერესებული მხარისათვის (ანუ, არა მხოლოდ დაცული ტერიტორიის პერსონალისთვის, არამედ ადგილობრივი თემის, მუნიციპალიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვებისთვის) ეფექტური საშუალებაა ყველა მხარის მიერ საკითხის უფრო ფართო გააზრებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის, ასევე ადგილობრივი შესაძლებლობების და ცოდნის ფართო ბაზის შექმნისთვის.</p>
<p>3. არ არის ჩამოყალიბებული დაცული ტერიტორიების სააგენტოს დონეზე სააგენტოს თანამშრომლების კომპეტენციის განვითარების ერთიანი სისტემა. შესაბამისი გეგმისა და პროგრამის არსებობა, სატრენინგო მასალების შენახვა და ტრენინგის მომწოდებლებთან კავშირის შენარჩუნება (ანუ, აღრიცხვის ერთგვარი მექანიზმი) მნიშვნელოვნად გააძლიერებდა დაცული ტერიტორიის პერსონალის ტრენინგების ეფექტიანობას მომავალში.</p>
<p>4. კომპეტენციების განვითარების ქმედებების განხორციელება სხვა დონორ პროექტებთან ან ინიციატივებთან ერთად უფრო ეფექტურია და ხელმისაწვდომს ხდის დამატებით რესურსებს, მაგალითად, თანამშრომლობამ ფაუნის და ფლორის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (FFI) და კავკასიის ბუნების ფონდთან (CNF) პროექტს მისცა შესაძლებლობა, ჩაეტარებინა უფრო ეფექტიანი თეორიული და პრაქტიკული SMART ტრენინგი სამიზნე დაცულ ტერიტორიაზე; პროგრამასთან „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა კავკასიაში“ (SPPA) თანამშრომლობამ Triple I-ზე (კომპიუტერული პროგრამის შემუშავება და ტრენინგი SPPA-ს მიერ, დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის უზრუნველყოფა) შესაძლებელი გახდა პროექტში მტირალას ეროვნული პარკის ჩართვა.</p>

რეკომენდაციები

1. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინსტიტუციური კომპეტენციების ამაღლების საჭიროებების სრული შეფასება კარგ საფუძველს შექმნის ტრენინგების სისტემატური პროგრამის შემუშავებისთვის. ეს ორ დონეზე უნდა განხორციელდეს: 1) საჭიროებები დაცული ტერიტორიის დონეზე, 2) საჭიროებები სათავო ოფისის დონეზე. ამ კონტექსტში უნდა გადაიხედოს ტექნიკური დავალებები და საბაზისო კომპეტენციების საჭიროებები თითოეული პოზიციისთვის (დაცული ტერიტორიის დირექტორი, დაცვის უფროსი, ბუნებრივი რესურსების და ვიზიტორთა სპეციალისტები, უფროსი რეინჯერი, რეინჯერები და სხვა) და მოხდეს მათი შესწორება არსებული საჭიროებების შესაბამისად.

2. დაცული ტერიტორიების სააგენტომ და ამ სააგენტოს მომავალმა დონორულმა დახმარებამ უნდა გაითვალისწინოს სისტემატური ტრენინგის პროგრამის შემუშავება დაცული ტერიტორიებისა და სათავო ოფისის პერსონალისთვის (ტრენინგის საჭიროებების სათანადო შეფასების საფუძველზე); ეს შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ძირითად საბაზისო ტრენინგს; პერიოდულ ტრენინგებს ცოდნის განსაახლებლად; ტრენინგებს პრიორიტეტულ თემებზე დამატებითი, სპეციფიკური კომპეტენციების გასამდიერებლად.

3. დაცული ტერიტორიების სააგენტომ უნდა შექმნას დონორების მიერ შემუშავებული სატრენინგო მასალების არქივი და ტრენინგების უზრუნველყოფი პირების/ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა; შექმნას შიდა შესაძლებლობა, რამდენიმე ტრენინგი მაინც ჩაუტაროს საველე პერსონალს; ორგანიზაციების სია, რომლებსაც ტრენინგების ჩატარება შეუძლიათ.

4. სამუშაო პროცესში ტრენინგი და გამოცდილების დაგროვება უაღრესად ფასეულია იმისთვის, რომ მოხდეს ტრენინგის და ცოდნის ეფექტიანად გათავისება და გამოყენება მომავალში.

ტრენინგის პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს თეორიული ტრენინგების პრაქტიკულ გამოყენებას, სადაც ეს შესაძლებელია. ზოგ ვითარებაში, შესაძლოა საკმარისი და უფრო ხელსაყრელი იყოს პრაქტიკული სწავლების გამოყენება (მაგ. ახალი ტექნოლოგიების ან მეთოდების დემონსტრირების კონტექსტში).

3. მაჯახლის ხეობის თემის მობილიზებისა და განვითარების მხარდაჭერა

3.1 შესავალი:

საწყისი მდგომარეობა: 2014 წელს, როდესაც პროექტის განხორციელება დაიწყო, ადგილობრივ თემებს არასწორად ესმოდათ მაჭახელას ეროვნული პარკის მნიშვნელობა, უნდობლობით ეკიდებოდნენ მის დაარსებას და ეწინააღმდეგებოდნენ ნებისმიერ ქმედებას ხეობაში, რადგან მიწათ სარგებლობის და საარსებო საშუალების მოპოვების შეზღუდვად აღიქვამდნენ.

შერბილების ღონისძიებები:¹ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად პროექტმა:

ა) განხორციელების დაწყებისთანავე გადადგა ნაბიჯები: i) ეროვნული პარკის პერსონალის ეფექტიანობის ამაღლებისთვის და მათ მიერ ეროვნული პარკის ამოცანების და ადგილობრივ თემებთან კომუნიკაციის გზების უკეთ გაგებისა და გააზრებისთვის; ii) ადგილობრივი თემების უკეთ ინფორმირებისთვის ეროვნული პარკის რეალური სარგებლის და პოტენციური სიკეთეების შესახებ.

ბ) უზრუნველყო ეროვნული პარკის საზღვრების დადგენის და დემარკაციის სამუშაოების ჩატარება ადგილობრივ თემებთან კონსულტაციის და მათი ჩართულობის გზით და საბოლოო საზღვრებზე ორმხრივი თანხმობის მიღწევას.

გ) ინტენსიურად იმუშავა ადგილობრივ თემებთან, რომ გაეძლიერებინა მათი ორგანიზების უნარი და შესაძლებლობა, ესარგებლათ იმ სიკეთეებით, რასაც ეროვნული პარკის დაარსება მოიტანდა.

დ) ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ჩართულობითა და მხარდაჭერით, განხორციელდა საქმიანობები ადგილობრივი თემების იმ პრიორიტეტული საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც ტყის რესურსებსა და ველურ ბუნებას უკავშირდებოდა (საშეშე მერქნის ალტერნატიული საწვავი, ადამიანისა და მტაცებელ ცხოველებს შორის კონფლიქტი).

მდგომარეობა პროექტის ბოლოს / შედეგი: კონსულტაციებმა, რომლებიც მაჭახლის ხეობაში დაცული ლანდშაფტის შექმნის მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩატარდა, აჩვენა, რომ ადგილობრივი თემების და ხელისუფლების დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და ახლა მათი უმრავლესობა მხარს უჭერს მაჭახლის ხეობაში კონსერვაციის და მდგრადი მიწათსარგებლობის/საარსებო საშუალებების მდგრადი მოპოვების აქტივობებს.

¹ პროექტის სახელით განხორციელდა ორგანიზაცია შავი ზღვის ეკო აკადემიამ.

3.2 აქტივობების მოკლე მიმოხილვა და მიღებული შედეგი

აქტივობა	ჩართული მხარე	დეტალები და ზეგავლენა
<p>პროექტის განხორციელების დაწყებისთანავე გადადგმული ნაბიჯები:</p> <p>i) ეროვნული პარკის პერსონალის ეფექტიანობის ამაღლება და მათ მიერ ეროვნული პარკის ამოცანების და ადგილობრივ თემებთან კომუნიკაციის გზების უკეთ გააზრება,</p> <p>ii) ადგილობრივი თემების უკეთ ინფორმირება ეროვნული პარკის რეალური სარგებლის და პოტენციური სიკეთეების შესახებ.</p>	<p>მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის პერსონალი (ტრენინგი)</p> <p>ადგილობრივი თემები: საინფორმაციო შეხვედრები და ეროვნული პარკის რეალური სარგებლის განმარტება).</p>	<p>შერბილდა ადგილობრივი თემების წინააღმდეგობა ეროვნული პარკის მიმართ და შემცირდა კონფლიქტის რისკი ეროვნული პარკის ფუნქციონალური დაარსების დროს.</p> <p>ეროვნული პარკის ადმინისტრაციულმა პერსონალმა უკეთ გააზრა საკუთარი მოვალეობები და მათი შესრულების გზები.</p>
<p>საწყისი კვლევა და ინვენტარიზაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მაჭახელას ეროვნული პარკის „დამხმარე ზონის“ თემების პირველადი სოციალურ-ეკონომიკური კვლევა და შეფასება - დამხმარე ზონაში მიწის/რესურსების სარგებლობის პირველადი კვლევა ილიას უნივერსიტეტის მიერ. 	<p>მაჭახლის ხეობის ადგილობრივი თემები (ასევე, კინტიშისა და მტირალას მახლობლად მცხოვრები თემები)</p>	<p>პროექტმა და პარტნიორებმა (პროექტი „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა კავკასიაში“, დაცული ტერიტორიების სააგენტო) უკეთ გააზრეს ადგილობრივი თემების რეალური სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და მდგომარეობა, განსაკუთრებით ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან (საშეშე მერქანი, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სხვა) დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობა.</p>
<p>პრობლემის განსაზღვრა და დაგეგმვა ადგილობრივ თემებთან ერთად - განვითარების გრძელვადიანი „ხედვის“ შეთანხმება.</p>	<p>მაჭახლის ხეობის ადგილობრივი თემები</p> <p>შეხვედრები გაიმართა 2015 დეკემბრიდან 2016 თებერვლის ბოლომდე</p>	<p>თემებს დახმარება გაეწია, გრძელვადიანი მომავლის ხედვის განსაზღვრაში და მათი ფართო პრიორიტეტებისა და პრობლემების გამოვლენაში.</p> <p>ამან ხელი შეუწყო, შეეცვალათ მიდგომა და დახმარების პასიური მიმღებების ნაცვლად ცვლილების მამოძრავებელ ძალად იქცნენ.</p>

<p>შეთანხმებული „სამოქმედო გეგმა“ თემის განვითარების პრიორიტეტების მხარდასაჭერად.</p>	<p>მაჭახლის ხეობის ადგილობრივი თემები</p> <p>შეხვედრები გაიმართა 2015 დეკემბრიდან 2016 წლის თებერვლის ბოლომდე</p>	<p>ერთობლივად განისაზღვრა პრიორიტეტული საკითხები და ქმედებები, რომლებსაც თემები და მუნიციპალიტეტი პროექტის მხარდაჭერით განახორციელებდნენ.</p>
<p>პროექტის მიერ სხვადასხვა მეთოდის გამოყენება თემების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული ქმედებების განხორციელების მხარდასაჭერად²</p> <p>მხარდაჭერა „ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომის“ გამოყენებით</p>	<p>მაჭახლის ხეობის ადგილობრივი თემები - (ჩიქუნეთი, ქედქედი, აჭარისაღმართი, ზედა ჩხუტუნეთი)</p>	<p><i>ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომა (FPA)</i> იყენებს ფინანსურ რესურსებს ადგილობრივი მოსახლეობის მობილიზებისთვის, რომ პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ განვითარებაზე. ამ მიდგომის მიზანია ავტონომიური განვითარების ისეთი დინამიკის შექმნა, რომელიც კონსტრუქციული, ინკლუზიური და თანამონაწილეობითია ოჯახის, თემის და რეგიონის დონეებზე.³ ამ მიდგომას იყენებს და ხელს უწყობს გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული პროექტები. მაჭახლის მცირე ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომის ფარგლებში განხორციელდა 4 ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივ თემებთან ერთად: 3 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა, ავტობუსის გაჩერება, სარიტუალო მომსახურების ცენტრი</p>

² ტურიზმის მხარდაჭერა ცალკე თემატურ ანგარიშშია აღწერილი, თუმცა ეს ადგილობრივი თემების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების/მომავლის ხედვის მსხვილი კომპონენტი იყო.

³ ფინანსური თანამონაწილეობითი მიდგომის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://tjs-caucasus.org/wp-content/uploads/2015/03/TIS-FPA-Concept-and-first-experiences.pdf>

<p>თემების მიერ იდენტიფიცირებული სხვა პრიორიტეტების მხარდაჭერა</p>	<p>მაჭახლის ხეობის ადგილობრივი თემები</p>	<p>განხორციელდა მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული აქტივობები, რომლებიც სარგებელს მოუტანს ადგილობრივი სოფლების მოსახლეობას:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრენინგი მდგრად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში • არამერქნული ტყის პროდუქტებიდან შემოსავლის მიღების შესაძლებლობების შეფასება • დახმარება მცირე ზომის სათბურების მოწყობაში • დახმარება ადგილობრივი პროდუქტის გასაყიდად ბაზრების მოწყობაში (თანადაფინანსებული მუნიციპალიტეტის მიერ) • ფოლკლორული მუსიკის ადგილობრივი გუნდის მხარდაჭერა • ნარჩენების შეგროვების და გატანის პროგრამის შემუშავება მუნიციპალიტეტთან ერთად – ნაგვის მანქანა შესყიდული იქნა ადგილობრივი ხელისუფლების 50%-იანი ფინანსური თანამონაწილეობით. • ძირითადი ინფრასტრუქტურის შეკეთება (საფეხმავლო ხიდი მდინარეზე, სხვა). • ტურიზმთან დაკავშირებული ტრენინგები და ცნობიერების ამაღლება (იხილეთ თემატური ანგარიში ტურიზმზე.)
--	---	--

<p>რესურსების მდგრადი გამოყენების კოოპერატივების მხარდაჭერა:</p>	<p>ბუნებრივი რესურსების გამოყენების 7 კოოპერატივი მაჭახელში და 2 კონტრიშში</p>	<p>მხარდაჭერა გაეწია 9 კოოპერატივს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • 5 - მეფუტკრეობა (110 სკა ფუტკრის ოჯახებით და მანქანა სკების ტრანსპორტირებისთვის), • 3 – თხილის სარჩევი დანადგარი, • 1 – თივის წარმოება – მინის ტრაქტორი და თივის პრესი.
<p>მხარდაჭერა საშეშე მერქნის პრობლემების გადასაჭრელად: საშეშე მერქანზე მოთხოვნის შემცირების ვარიანტების განსაზღვრა და პილოტირება/დემონსტრირება</p>	<p>მაჭახლის ხეობის თემების ბევრი ოჯახი</p>	<p>მხარი დაეჭირა ქმედებებს სოციალურ-ეკონომიკური და კონსერვაციის პრიორიტეტული პრობლემების მოსაგვარებლად - იხილეთ დეტალები შესაბამის ანგარიშში.</p>

3.3 მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები

მიღებული გამოცდილება	სამიზნე ორგანიზაცია
<p>1. დაცული ტერიტორიების მიმდებარე თემებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების დაარსების დროს, ძალიან სასარგებლოა დაცული ტერიტორიის მენეჯმენტისთვის, რადგან ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, მათი მიზნების უკეთ გააზრებას, წინააღმდეგობის და კონფლიქტის შემცირებას და ორმხრივად სასარგებლო პოზიტიური თანამშრომლობის შესაძლებლობების პოვნას.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიების სისტემის მხარდამჭერი დონორები</p>
<p>2. რეგიონში დაცული ტერიტორიების დაარსება აჩქარებს სოფლის განვითარების ტემპს, რადგან ხელს უწყობს არსებობის უფრო მდგრადი და გამძლე საშუალებების შექმნას და თემების მეტ კონსოლიდაციას.</p>	<p>სოფლის განვითარებასა და ბუნების კონსერვაციაზე პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებები; დონორები, რომლებიც მხარს უჭერენ ასეთ აქტივობებს.</p>
<p>3. თემებში, სადაც სუსტია ერთიანობა ან თვითორგანიზებული სტრუქტურები, მნიშვნელოვანია ისეთი მხარდამჭერი აქტივობების დაწყება, რომლებიც თემში აძლიერებს თანხმობას და ორგანიზების შესაძლებლობას - ეს ქმნის შემდგომი აქტიური ჩართულობის ეფექტიან საფუძველს.</p>	<p>სოფლის განვითარებასა და ბუნების კონსერვაციაზე პასუხისმგებელი რეგიონული და ეროვნული სამთავრობო უწყებები; დონორები, რომლებიც მხარს უჭერენ ასეთ აქტივობებს.</p>
<p>4. განვითარების დახმარება ორიენტირებული უნდა იყოს <u>თემის</u> და <u>ოჯახების პრიორიტეტებზე</u>. თუ ეს პრიორიტეტები არ ეწინააღმდეგება კონსერვაციის და რესურსების მდგრადი გამოყენების უფრო ფართო მიზნებს, და არა იმ პრიორიტეტებზე, რომლებსაც სხვა ორგანიზაციები (დონორი პროექტები, დაცული ტერიტორიების სააგენტო, სხვა) განსაზღვრავენ.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიების სისტემის მხარდამჭერი დონორები</p>
<p>5. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებს აქვთ კომპეტენციები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ადგილობრივი ოჯახების და თემების მხარდასაჭერად - მაგალითად, თხილის ნაჭუჭის მიმწოდებლებთან დაკავშირება, ინფორმაციის მიწოდება ისეთი ახალი ტექნოლოგიების შესახებ, როგორებიცაა ელექტროლობები და მათი მიმწოდებლების შესახებ, სხვა.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიების სისტემის მხარდამჭერი დონორები</p>

რეკომენდაციები	სამიზნე ორგანიზაცია
<p>1. უნდა გაფართოვდეს დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების, განსაკუთრებით ეროვნული პარკების ადმინისტრაციების მანდატი, რომ ხელი შეეწყოს ადგილობრივ თემებთან პრაქტიკულ თანამშრომლობას და მათ მხარდაჭერას ისეთ პრიორიტეტულ საკითხებში, როგორებიცაა საშემე მერქანი (ან მისი ალტერნატივები); კონფლიქტები, როგორცაა გარეული ცხოველების მიერ მოსავლის და საქონლის განადგურება; ეკონომიკური საკითხები, როგორებიცაა ტურიზმი და ბუნების პროდუქტების წარმოება და გაყიდვა (თაფლი, სამკურნალო მცენარეები, სხვა).</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დონორები, რომლებიც მხარს უჭერენ ახალი დაცული ტერიტორიების შექმნას და დაცული ტერიტორიების სააგენტოში შემავალ დაცულ ტერიტორიებს</p>
<p>2. დაცული ტერიტორიების სააგენტომ უნდა ამოქმედოს მკაფიოდ განსაზღვრული წესები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს დაგეგმილი დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მიმდებარე მოსახლეობისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობები და არასასურველი კონფლიქტები.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დონორები, რომლებიც მხარს უჭერენ ახალი დაცული ტერიტორიების შექმნას.</p>
<p>3. პირველადი ინვენტარიზაცია და რესურსების კვლევები, რომლებიც დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებაში დაცული ტერიტორიების დაარსების ეტაპზე ტარდება, უნდა მოიცავდეს დაცული ტერიტორიის მიმდებარე თემების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სათანადო ასპექტების და ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრობლემების კვლევას და შეფასებას, ხოლო თემის პრიორიტეტები (საშემე მერქანი, კონფლიქტი გარეულ ცხოველებთან, ტურიზმი, სხვა) გათვალისწინებული უნდა იყოს დაცული ტერიტორიის მართვაში.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დონორები, რომლებიც მხარს უჭერენ ახალი დაცული ტერიტორიების შექმნას.</p>
<p>4. ცენტრალურმა და ადგილობრივმა მთავრობებმა, ასევე დონორებმა დაცული ტერიტორიები უნდა აღიარონ როგორც პოტენციური მექანიზმები სოფლის მდგრადი განვითარების დასაჩქარებლად, რომლებსაც მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვთ ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ტურიზმის ხელშეწყობისათვის.</p>	<p>ეროვნული და რეგიონული ხელისუფლებები, დონორები, რომლებიც მხარს უჭერენ სოფლის განვითარებას.</p>

5. სოფლის განვითარების ინიციატივები (მიუხედავად იმისა, დაცული ტერიტორიების კონტექსტში ხორციელდება ისინი თუ არა) გამიზნული უნდა იყოს ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერებაზე, სამომავლო განვითარების განსაზღვრაზე და უნდა ეფუძნებოდნენ ადგილობრივად განსაზღვრულ პრიორიტეტებს, რომლებიც თანხვედრაში უნდა იყოს მდგრადი განვითარების მიზნებთან.

დონორები, რომლებიც მხარს უჭერენ სოფლის განვითარებას აჭარაში/საქართველოში, სოფლის განვითარებაზე პასუხისმგებელი რეგიონული და ეროვნული სამთავრობო უწყებები.



4. მაჯახელას ეროვნულ პარკსა და მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება

4.1. შესავალი

ტურიზმის სათანადო განვითარება მნიშვნელოვანი საშუალება და შესაძლებლობაა დაცული ტერიტორიების და მათ სიახლოვეს მცხოვრები თემებისთვის, მიაღწიონ თავიანთ მიზნებს.

დაცულ ტერიტორებთან მიმართებით ტურიზმის განვითარების მიზნებია:

ა) აამაღლოს ცნობიერების და გააზრების დონე კონსერვაციის მნიშვნელობის შესახებ; ბ) უზრუნველყოს ვიზიტორები გართობის და დასვენების სერვისებით; გ) მოახდინოს შემოსავლების გენერირება, რომლებიც გააუმჯობესებს მართვას და მდგრად დაფინანსებას. რაც შეეხება **ადგილობრივ მოსახლეობას**, ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს მათი მდგრადი შემოსავლების ზრდას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და საარსებო საშუალებების დივერსიფიცირებას.

ორივე შემთხვევაში მახვილი კეთდება „სათანადო“ ტურიზმზე, ანუ ისეთ ტურიზმზე, რომელიც ზიანს არ აყენებს ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს (ანუ ხელუხლებელი ბუნება და კულტურული ლანდშაფტი). დაცული ტერიტორიის შემთხვევაში მახვილი ასევე კეთდება განათლების და ინფორმირების მიზნებზე. ამისთვის საჭიროა, რომ ტურიზმის განვითარების გეგმა სიფრთხილით შემუშავდეს და ფოკუსირებული იყოს გრძელვადიან სარგებელზე და არა მოკლევადიან ფინანსურ მოგებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მხარდაჭერა თავიდან კონცენტრირებული იყო აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემის, როგორც ერთი ორგანიზმის და, განსაკუთრებით, კოლხური ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილი ცალკეული დაცული ტერიტორიების, სწორი სტრატეგიული ხედვის შემუშავებაზე. ამ ხედვის საფუძველზე მოხდა შესაბამისი ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა ადგილზე - ახლად დარსებულ მაჭახელას ეროვნულ პარკში და მაჭახლის ხეობის „დამხმარე ზონაში“, რომლის დაცულ ლანდშაფტად განსაზღვრის პროცესი ამჟამად მიმდინარეობს.

4.2 განხორციელებული აქტივობები და მიღებული შედეგები

აქტივობა	დაინტერესებული მხარე	დამატებითი ინფორმაცია და შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ▪ აჭარის დაცული ტერიტორიების მდგრადი ტურიზმის განვითარების სტრატეგია ▪ კინტრიშის დაცულ ტერიტორიაზე, მტირალას და მაჭახელას ეროვნულ პარკებში ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმები 	<p style="text-align: center;">დაცული ტერიტორიების სააგენტო, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი, კოლხური ტყეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები</p>	<p>აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის მთავარი მიზანი იყო საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით ტურიზმის განვითარების ისეთი ხედვის ფორმულირება, რომელიც ხელს შეუწყობდა აჭარის დაცული ტერიტორიების სხვადასხვა მიზნის განხორციელებას. ეს მიზნებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • კონსერვაცია, • საზოგადოებრივი მომსახურება (გართობა-დასვენება და განათლება), • სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები და • დაცული ტერიტორიების მდგრადი დაფინანსება. <p>აჭარის დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების სტრატეგია არ არის ოფიციალურად დამტკიცებული, მაგრამ ეს დოკუმენტი სასარგებლო ბაზას ქმნის მომავალი დაგეგმვისთვის და გახდა კოლხური ტყეების შესანარჩუნებლად შექმნილ ცალკეულ დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების ინდივიდუალურ სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების საფუძველი.</p> <p>დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების ინდივიდუალურმა სტრატეგიებმა და სამოქმედო გეგმებმა უშუალო ზეგავლენა იქონიეს მაჭახელაზე, რადგან უზრუნველყვეს საფუძველი ეროვნული პარკის მართვის და ოპერირების გეგმებისა და ასევე, „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა კავკასიაში“ (SPPA) პროექტისთვის, რომელიც ანალოგიურ დაგეგმვას ახორციელებდა კინტრიშში.</p>

<p>მაჭახელას ეროვნულ პარკში ტურიზმის განვითარება, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეროვნული პარკის მართვის და ოპერირების გეგმის ტურიზმის კომპონენტი • ტურისტული მარშრუტების შემუშავება • მთავარანგელოზის მარშრუტის მარკირება და მანიშნებლების განთავსება. • მაჭახელას ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის რეაბილიტაცია (დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანადაფინანსებით) და ავეჯითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა • ვიზიტორთა ცენტრში გამოფენის კონცეფციისა და დიზაინის მომზადება • მაჭახელას ეროვნულ პარკში ტურიზმის განვითარების ვარიანტების და ინვესტიციების შეფასება და რეკომენდაციები 	<p>მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია / დაცული ტერიტორიების სააგენტო</p>	<p>მაჭახელას ეროვნულ პარკს, როგორც ახლად დაარსებულ დაცულ ტერიტორიას, არ ჰქონდა შემუშავებული არც ტურიზმის გეგმა და არც ტურიზმის განვითარების სტრატეგია. პროექტმა უშუალო ზეგავლენა მოახდინა ამ ვითარებაზე შემდეგი აქტივობებით:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) ხელი შეუწყო ტურიზმის გეგმის შემუშავებას (მართვის და ოპერირების დაგეგმვა, ტურიზმში ინვესტიციების მიზანშეწონილობის შესწავლა) ბ) ხელი შეუწყო ტურისტებისთვის ვიზიტორთა ცენტრის შექმნას გ) ხელი შეუწყო პირველადი ტურისტული ბილიკების შემუშავებას და შესაბამისი ინფრასტრუქტურით (ნიშნები, საინფორმაციო დაფები, სხვა) უზრუნველყოფას დ) ხელი შეუწყო ეროვნული პარკის ცნობადობის ამაღლებას მედიის მეშვეობით და ტურისტულ სააგენტოებს შორის. <p>პირდაპირი გაზომვადი ზეგავლენა არის ეროვნულ პარკში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა ნული ვიზიტორიდან 2015 წელს 5092 ვიზიტორამდე 2017-ში და 10002 ვიზიტორამდე 2018 წლის 11 თვეში; ანუ წლიური ზრდა დაახლოებით 5000 ვიზიტორი.</p>
<p>ტურიზმის განვითარება დამხმარე ზონაში აქტივობები, რომლებიც განხორციელდა საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციასთან პარტნიორობით:</p> <ul style="list-style-type: none"> - აჭარის რეგიონის ტუროპერატორების კვლევა (პოტენციური ეკოტურისტული მარშრუტების შეთავაზებების შემუშავებისთვის) 	<p>ტუროპერატორები</p>	<ul style="list-style-type: none"> • იდენტიფიცირებულია 37 ტურისტული სერვისების მოქმედი და პოტენციური მომწოდებლები ხეობაში. • შეგროვებულია ინფორმაცია ტურისტული სერვისების მოქმედი და პოტენციური მომწოდებლების შესახებ ხეობაში. • იდენტიფიცირებულია ტურიზმის სფეროს დაინტერესებული მხარეები (როგორც მაჭახლის ხეობის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ), რომლებსაც აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაცია/კოორდინაცია/ თანამშრომლობა.

<ul style="list-style-type: none"> - ტურისტული სერვისების მოქმედი და პოტენციური ადგილობრივი მომწოდებლების კვლევა - ტურიზმის სექტორის დაინტერესებული მხარეების ქსელის შექმნა შერჩეულ ტერიტორიაზე - ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების ინვენტარიზაცია მაჭახლის ხეობაში - ტურისტული სერვისების განვითარება (ღვინის დაგემოვნება, ქარგვის სახელოსნო, მჭედლის სახელოსნო, კალათების წვნა, ეკოფერმები და სხვ.); საოჯახო სასტუმროების გახსნის ხელშეწყობა - ტრენინგები ტურისტული პროდუქტის განვითარებასა და პოპულარიზაციაზე 	<p>ტურისტული სერვისების ადგილობრივი მომწოდებლები (ხეობაში მცხოვრები ოჯახები, სხვ.)</p> <p>ტურისტული სერვისების ადგილობრივი მომწოდებლები ადგილობრივ მოსახლეობაში, ტუროპერატორები</p> <p>ტურისტული სერვისების მოქმედი და პოტენციური მომწოდებლები</p>	<ul style="list-style-type: none"> • საველე ექსპედიციების და კვლევების გზით დადგინილი და აღრიცხულია ხეობის როგორც მანამდე ცნობილი, ასევე უცნობი ბუნებრივი და კულტურული ობიექტები, რომლებსაც ტურისტული პოტენციალი აქვთ (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ღვინის კულტურის მემკვიდრეობა, ბუნების ობიექტები) • დაიგეგმა და ამოქმედდა სხვადასხვა კატეგორიის 4 ეკოტურისტული მარშრუტი მაჭახლის ხეობაში: გასტრონომიული, ეთნოგრაფიული, სათავგადასავლო და საწნახელის, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> - თითოეული მარშრუტის განმარტებითი აღწერა და რუკა; - მარკირების პროექტის და ნიშნების სისტემის მომზადება; - სამუშაოების ჩატარება მარშრუტების ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის (საინფორმაციო დაფები და ნიშნები) - 3 სადემონსტრაციო ბრენდული ობიექტი: ილიას ღვინის მარანი, ქარგვის სახელოსნო “სითვა”, ქავთარაძეების ოჯახის სამჭედლო; <p>2015 წლის შემდეგ ხეობაში შეიქმნა 8 საოჯახო სასტუმრო, 7 კვების ობიექტი, 2 აგროტურიზმის სერვისი; 2017 წლის შემდეგ დამატებით შეიქმნა 4 საოჯახო სასტუმრო, 2 აგროტურიზმის, 3 ტრადიციული ხელობის და 2 ფოლკლორული მომსახურების ობიექტები.</p> <p>დაგეგმილი სერვისები: ღვინის წარმოება, ზიპლაინი, დამატებითი საოჯახო სასტუმროები, თაფლის სანთლის წარმოება სუვენირებად.</p> <ul style="list-style-type: none"> • შემუშავდა ტრენინგის პროგრამები და მოდულები კვლევის დროს იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე; • ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა თემაზე: ეკოტურიზმის პრინციპები; ტურისტული პროდუქტის შემუშავება; მეწარმეობის პრინციპები (დამსწრეთა რაოდენობა - 25);
--	--	---

<p>- სახალხო დღესასწაულის „მაჭახლობა 2017“-ის ორგანიზების მხარდაჭერა</p>	<p>მუნიციპალიტეტი, ტუროპერატორები, ტურისტული სერვისის ადგილობრივი მომწოდებლები (აგროტურისტული ფერმები, სახელოსნოები, კვების ობიექტები)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალური კონსულტაციები გაეწია ყველა გამოკითხულ ადგილობრივს (ტრენინგში მათი მონაწილეობა-არმონაწილეობის მიუხედავად) (სულ 35 ადამიანი); - დღესასწაულის ორგანიზატორებისთვის დემონსტრირებული იქნა ღონისძიების დაგეგმვის თანამედროვე საშუალებები და მიდგომები. - დახმარება გაეწია ტურისტული სერვისის ადგილობრივ მომწოდებლებს შემუშავებული პროდუქტების შეფუთვისა და პოპულარიზებაში.
<p>გასაცნობი ტურების ორგანიზება მაჭახლის ხეობაში ადგილობრივი და ეროვნული ტუროპერატორებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის</p>	<p>ტუროპერატორები (ადგილობრივი და ეროვნული)</p>	<p>ადგილობრივ და ეროვნულ ტუროპერატორებს აქვთ ინფორმაცია ხეობის ტურისტული პოტენციალის შესახებ და ხეობის მონახულება შეტანილი აქვთ თავიანთ ტურისტულ შეთავაზებებში.</p>
<ul style="list-style-type: none"> ▪ ღვინის ადგილობრივი დამზადების გაუმჯობესება და შესაძლებლობების გაძლიერება (ადამიანური რესურსის განვითარება) ▪ არამატერიალური მემკვიდრეობა - ვაზის ენდემური ჯიშები 	<p>ადგილობრივი ოჯახები, რომლებსაც მოჰყავთ ვაზი და ამზადებენ ღვინოს</p>	<ul style="list-style-type: none"> - ხეობაში განახლდა ხარისხიანი ღვინის დამზადების პროცესი - ხეობაში აღდგა ვაზის ენდემური ჯიში (მაგ. საწური)
<p>დახმარება ბეჭდური, აუდიო და ვიდეოსასაღებების ტურისტული კომპლექტის დამზადებაში</p>	<p>ტურისტული სერვისების ადგილობრივი მომწოდებლები, ტუროპერატორები, ეროვნული პარკის ადმინისტრაცია</p>	<p>შექმნილ მასალებში მოთხრობილია მაჭახლის ხეობის შესახებ, რაც მას აქცევს უნიკალურ პროდუქტად, რომლის გამოყენება შესაძლებელია მომავალში სხვადასხვა გამოცემაში.</p>

4.3. მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები

მიღებული გამოცდილება	სამიზნე ორგანიზაცია
<p>აჭარის დაცულ ტერიტორიებს დიდი შესაძლებლობა აქვთ, გაზარდონ ვიზიტორთა რაოდენობა მხოლოდ თავიანთი ბუნებრივი ღირებულებებით, ძირითად ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების გარეშე - „დაცული ტერიტორიების უმთავრესი მარკეტინგული ღირებულება“ მათთვის დამახასიათებელი თვალწარმტაცი ხედები და ბუნებაა და არა ხელოვნური „ღირსშესანიშნაობები“, რომლებიც რიგ შემთხვევებში შეიძლება შეუფერებელი აღმოჩნდეს.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დონორები</p>
<p>ამჟამად დაცული ტერიტორიების შემოსავალი თითო ვიზიტორზე ბევრად ჩამოუვარდება მსოფლიოს შესაბამისი ტიპური შემოსავლის დონეს; ამრიგად, ვიზიტორთა შედარებით დიდი რაოდენობის მიუხედავად, დაცული ტერიტორიების მიერ შემოსავლების გენერირება არ არის მდგრადი. ამჟამად გენერირებული შემოსავლები შეადგენს დაცული ტერიტორიების წლიური საოპერაციო ხარჯების მხოლოდ მცირე ნაწილს და ხელს ვერ უწყობს მდგრადობას.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო</p>
<p>დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებული დაცული ტერიტორიების, მათ შორის ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობების მდგრადი დაფინანსების გაუმჯობესებისთვის საჭიროა ცვლილებები სისტემის დონეზე (ცენტრალურ დონეზე); პროექტებმა, რომლებიც ამ პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად, თავდაპირველად ცენტრალურ დონეზე უნდა იმუშაონ და მხოლოდ მერე იქნება შესაძლებელი ამის ცალკეული დაცული ტერიტორიის დონეზე გაკეთება.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სისტემის მხარდამჭერი დონორები</p>
<p>ტუროპერატორები ამჟამად ფოკუსირებული არიან სერვისების რაოდენობაზე და არა ხარისხზე; ეკოლოგიურად და კულტურულად ისეთი მგრძობიარე ტურისტული ადგილების შემთხვევაში, როგორც მაჭახელია, ტუროპერატორებმა უნდა გააუმჯობესონ მდგრადობის კრიტერიუმები და უპირატესობა მიანიჭონ ხარისხს და არა რაოდენობას.</p>	<p>საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი</p>

ინდივიდუალური კონსულტაციები და პრაქტიკული სწავლებები ყველაზე ეფექტიანი და ადგილობრივებისთვის მისაღები მეთოდია შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით.	დაცული ტერიტორიების სისტემის მხარდამჭერი დონორები
დაცული ტერიტორიის მენეჯმენტმა უფრო აქტიური კომუნიკაცია უნდა დაამყაროს ადგილობრივ თემებთან, ჩართოს ისინი პროდუქტის შემუშავებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაჭახელას ეროვნული პარკის პოპულარიზაცია დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ადგილობრივი მთავრობის და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მხრიდან უნდა მოხდეს როგორც ხეობის განუყოფელი ნაწილისა.	დაცული ტერიტორიების სააგენტო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტი
ტურიზმის განვითარების სტრატეგია (დაცულ ტერიტორიაზე, დაცულ ლანდშაფტზე) და სამოქმედო გეგმები უნდა ეცნობოს ადგილობრივ მოსახლეობას.	სააგენტო, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტი

რეკომენდაციები	სამიზნე ორგანიზაცია
<p>1. როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოს ასევე სხვა უწყებების დაქვემდებარებაში მყოფ დაცულ ტერიტორიებს (მაგ. დაცული ლანდშაფტები მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაშია) უნდა ჰქონდეთ ტურიზმის გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკა, რომელიც სათანადოდ აბალანსებს სარგებელს და კონსერვაციის ძირითად მიზნებს, ანუ მაქსიმალურად ზრდის ფინანსურ შემოსავალს, მინიმუმამდე ამცირებს მიმდებარე გარემოზე (ბუნებასა და ადგილობრივ მოსახლეობაზე) ნეგატიურ ზეგავლენას, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და გართობა-დასვენების სიკვთეებს.</p>	დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიების სხვა მმართველები (ძირითადად, მუნიციპალიტეტები), დაცული ტერიტორიების სისტემის მხარდამჭერი დონორები
<p>2. დაცული ტერიტორიების სააგენტოს დიდი შესაძლებლობები აქვს, გააძლიეროს დაცული ტერიტორიების მდგრადი დაფინანსება, განსაკუთრებით აჭარაში; თუმცა, ამისათვის დაცული ტერიტორიების სააგენტომ მნიშვნელოვანი სისტემური ცვლილებები უნდა განახორციელოს ტურიზმის</p>	დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიების სისტემის მხარდამჭერი დონორები

<p>და ფინანსების მართვაში და ამ სფეროს რეფორმირება უნდა იყოს უახლოესი მომავლის პრიორიტეტი.</p>	
<p>3. დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი დაცული ტერიტორიებისთვის დონორთა დახმარებაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემოსავლის, განსაკუთრებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის მართვის ცვლილებების საჭიროება სისტემის დონეზე, თუ მათი მიზანი ცალკეული დაცული ტერიტორიის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებაა.</p>	<p>დონორები, რომლებიც მხარს უჭერენ დაცული ტერიტორიების შექმნას/ეფექტიან მართვას.</p>
<p>4. საჯარო სექტორში ხშირი ცვლილებების გამო, დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარებით დაინტერესებულ მთავარ მხარეებს შორის უნდა იყვნენ კერძო სექტორი და ადგილობრივი თემები; ყველაზე ეფექტიანი მექანიზმი იქნება სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობის მოდელით შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი.</p>	<p>დონორები, რომლებიც მხარს უჭერენ ტურიზმის განვითარებას დაცულ ტერიტორიებსა და მათ შემოგარენში, დაცული ტერიტორიების სააგენტო, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი</p>
<p>5. ზედმეტი ტურისტული დატვირთვის ან ერთ ადგილზე კონცენტრაციის თავიდან ასაცილებლად სასურველია ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია და სერვისის ხარისხის უზრუნველყოფა.</p>	<p>დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია, სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობა, დონორები, განმახორციელებელი უწყებები</p>

5. მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია

5.1 შესავალი:

პროექტის დაწყების დროს მტირალას და მაჭახელას ეროვნულ პარკებს არ ჰქონია მიზანმიმართული მხარდაჭერა არც ერთი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ან ჯგუფის მხრიდან.

თუმცა, ჩატარებულმა შეფასებამ გამოავლინა, რომ ასეთ ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლოთ დაცული ტერიტორიების პოპულარიზებაში, ადგილობრივ თემებსა და დაცულ ტერიტორიებს შორის თანამშრომლობის დამყარებაში და დაცული ტერიტორიებისა და ადგილობრივი თემების განვითარების პრიორიტეტების გამოვლენასა და მოგვარებაში. შესაბამისად, საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტების შეფასების საფუძველზე და განსაკუთრებით, საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების გამოცდილების გათვალისწინებით, პროექტმა მხარი დაუჭირა მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის შექმნას და მისი ფუნქციური შესაძლებლობების გაძლიერებას.

ეს მხარდაჭერა ძირითადად ფოკუსირებული იყო მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის მდგრადობის გაძლიერებაზე. მთავარი რისკი, რომელიც გამოვლინდა, იყო ასეთი ორგანიზაციების დამოკიდებულება დონორთა დახმარებაზე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, UNDP/GEF-ის მხარდაჭერაზე), რადგან ამ დახმარების შეწყვეტისთანავე ისინი ფინანსური ქმედუნარიანობის პრობლემების წინაშე დგებოდნენ. აქედან გამომდინარე, მხარდაჭერის ერთ-ერთი მიზანი იყო ფინანსური მდგრადობის შესაძლებლობების გამოვლენა და გაძლიერება ისეთი სტრატეგიის მეშვეობით, რომელიც გრძელვადიანად უზრუნველყოფდა ძირითად დაფინანსებას სანდო წყაროებიდან.

მდგომარეობა პროექტის ბოლოს: მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია დაფუძნდა 2016 წელს და მას შემდეგ ის სხვადასხვა საქმიანობას ახორციელებს დაცულ ტერიტორიებსა და ადგილობრივ თემებს შორის ურთიერთობის და თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის. ეს საქმიანობა მოიცავს ნორჩი და სათემო რეინჯერების პროგრამების განხორციელებას, სკოლებისთვის ეკოლოგიური ვიზიტების ორგანიზებას, ტურიზმის პოპულარიზებას და დონორთა დაფინანსებით ადგილობრივი განვითარების პროექტების განხორციელებას.

ასოციაციას აქვს საშუალოვადიანი სტრატეგია და გეგმა, ჰყავს 1 მუდმივი დირექტორი და 4 ან მეტი ნახევარ განაკვეთზე მომუშავე/მოხალისე თანამშრომელი. რეალისტურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით შემუშავებული პროგნოზის თანახმად, 2019 წელს ასოციაცია შეძლებს ძირითადი თანხის იმ ოდენობით გენერირებას (იგულისხმება სერვისების მიწოდებიდან გენერირებული საკუთარი თანხები), რომ ფინანსურად თვითკმარი გახდეს.

5.2 ძირითადი აქტივობები და მიღებული შედეგები:

აქტივობები	დაინტერესებული მხარეები	დამატებითი ინფორმაცია და შედეგები
<p>მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკების მხარდასაჭერად არასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნების საუკეთესო ვარიანტების შესწავლა და შეფასება</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო (კონკრეტულად, მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკები), ადგილობრივი თემები, შავი ზღვის ეკო აკადემია, სხვა დაინტერესებული მხარეები, ახალგაზრდები</p>	<p>ჩატარდა კვლევა, რათა დადგენილიყო საუკეთესო მიდგომა და სტრუქტურა არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციისთვის, რომელიც მხარს დაუჭერდა ეროვნულ პარკებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში, განსაკუთრებით კი, ადგილობრივ თემებთან ურთიერთობის, კონსერვაციის შესახებ განათლების და ინფორმირების და პოტენციური შემოსავლის გენერირების კუთხით. საქართველოს გამოცდილებაზე დაყრდნობით შეირჩა „მეგობართა ასოციაცია“ როგორც ყველაზე მიზანშეწონილი მიდგომა.</p> <p><i>შედეგ:</i> შეირჩა საუკეთესო ვარიანტი, განისაზღვრა მთავარი მოვალეობები და ფუნქციები.</p>
<p>მტირალას და მაჭახელას მეგობართა ასოციაციის საჭიროებების და ფუნქციების შესახებ მსჯელობა და შეთანხმების მიღწევა</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო (კონკრეტულად, მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკები), ადგილობრივი თემები, შავი ზღვის ეკო აკადემია, სხვა დაინტერესებული მხარეები, სკოლები</p>	<p>მეგობართა ასოციაციის ძირითადი ფუნქციების შეთანხმება ეროვნული პარკების დირექტორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანხმობა მეგობართა ასოციაციის დაფუძნებაზე.</p>
<p>მტირალას და მაჭახელას მეგობართა ასოციაციის დაფუძნება და საწყისი ბაზის შექმნა</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო (კონკრეტულად, მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკები), ადგილობრივი თემები, შავი ზღვის ეკო აკადემია, სხვა დაინტერესებული მხარეები</p>	<ul style="list-style-type: none"> • მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკების დირექტორებმა ბიძგი მისცეს მეგობართა ასოციაციის დაფუძნებას • პროექტმა მიაწოდა საოფისე აღჭურვილობა და მასალების ფუნქციონირების დასაწყებად • საოფისე ფართი (შავი ზღვის ეკო აკადემია)

<p>ნორჩი და სათემო რეინჯერების პროგრამა მტირალასა და მაჭახელაში</p>	<p>მტირალას და მაჭახელას მეგობართა ასოციაცია, დაცული ტერიტორიების სააგენტო (კონკრეტულად, მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკები), ადგილობრივი თემები, სკოლები, შავი ზღვის ეკო აკადემია, სხვა დაინტერესებული მხარეები</p>	<p>სათემო რეინჯერების და ნორჩი რეინჯერების პროგრამების ტესტირება - დაცული ტერიტორიის მართვაში ადგილობრივი თემის ჩართვის/ცნობიერების ამაღლების მიდგომა</p> <p>შედეგი: მტირალას ეროვნული პარკის „სათემო რეინჯერების“ პროექტმა შეარჩია და იმუშავა 7 წარმომადგენელთან ბუფერული ზონის 5 თემიდან; სათემო რეინჯერებს ჩაუტარდათ ტრენინგი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში; მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ გააანალიზა და გამოიყენა შეგროვილი საველე მონაცემები.</p> <p>მტირალას და მაჭახელას „ნორჩი რეინჯერების“ პროექტმა მოიცვა 120 მოსწავლე ახლომდებარე სოფლების 9 სკოლიდან; ნორჩმა რეინჯერებმა მონაწილეობა მიიღეს 14 ეკო-საგანმანათლებლო ტურში, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო;</p> <p>მტირალას ნორჩმა რეინჯერებმა გაიარეს პროექტის წერის ტრენინგი, მოამზადეს 4 მცირე საგრანტო პროექტი და მოიპოვეს დაფინანსება პროექტიდან.</p> <p>ეს კომპონენტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ადგილობრივებს შორის; მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალგაზრდების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და დაცული ტერიტორიების მიმართ ადგილობრივი თემის წევრების დამოკიდებულების შეცვლას პოზიტიურისკენ.</p> <p>გაწეული მხარდაჭერის მდგრადობის შენარჩუნების და ნორჩ რეინჯერთა ინიციატივის გაგრძელების უზრუნველსაყოფად თითოეულ სკოლაში შეიქმნა ეკო-კლუბი. ეროვნული პარკების ადმინისტრაციები და მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია აგრძელებენ ეკო-კლუბებთან თანამშრომლობას და მათთვის დახმარების გაწევას.</p>
---	--	--

<p>მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის სტრატეგია და დაფინანსების გეგმა</p>	<p>მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია; დაცული ტერიტორიების სააგენტო (კონკრეტულად, მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკები), ადგილობრივი თემები, სკოლები, შავი ზღვის ეკო აკადემია, სხვა დაინტერესებული მხარეები</p>	<p>დოკუმენტის შემუშავების მიზანი იყო მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის პერსონალის უზრუნველყოფა სამოქმედო გეგმით და სახელმძღვანელო მითითებებით, თუ როგორ შეასრულონ თავიანთი მანდატი და ამავე დროს, გახდნენ ფინანსურად თვითკმარი.</p> <p>შედეგი: საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, მიდგომების და მექანიზმების დეტალური მონახაზი ფინანსური მდგრადობის ისე მისაღწევად, რომ არ შეიზღუდოს მეგობართა ასოციაციის მთავარი მანდატი და მიზნები.</p>
<p>მეგობართა ასოციაციის მდგრადობის და ინსტიტუციური კომპეტენციის გაძლიერების მხარდაჭერა</p>	<p>მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია; დაცული ტერიტორიების სააგენტო (კონკრეტულად, მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკები), ადგილობრივი თემები, სკოლები, შავი ზღვის ეკო აკადემია, სხვა დაინტერესებული მხარეები</p>	<p>ამ აქტივობის მიზანი იყო მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის დახმარება ინსტიტუციური შესაძლებლობების (ტექნიკური, მენეჯერული და ფინანსური) შექმნაში, რომ პროექტის დასრულების და შესაბამისად, საპროექტო დახმარების შეწყვეტის შემდეგ მან წარმატებული მუშაობის დამოუკიდებლად გაგრძელება შეძლოს.</p> <p>შედეგი: შეიქმნა პროგრამის მუდმივი გუნდი (4 სტუდენტი და მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკების წარმომადგენლები), რომელსაც ჩაუტარდა ტრენინგი. შემუშავდა ეკოლოგიური ექსკურსიების სერვისის კონცეფცია და დამუშავდა მისი დეტალები. ამ სერვისის პოპულარიზებისთვის მოეწყო ეკოტურები მტირალას ეროვნულ პარკში ბათუმის 10 სკოლის დირექტორისთვის. სარეკლამო მასალა მომზადდა, რომელიც ამჟამად ვრცელდება. შეიქმნა მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის ვებგვერდი. ასოციაციის შემოსავლის წყარო იქნება ეკოლოგიური ექსკურსიები და ეკობანაკები სკოლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მის ფინანსურ მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში.</p>

5.3. მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები

მიღებული გამოცდილება	სამიზნე ორგანიზაცია
<p>1. კონსერვაციაზე თუ სოფლის განვითარებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის მხარდაჭერა საქართველოში პოპულარული მექანიზმია დონორი პროექტების აქტივობების განსახორციელებლად - თუმცა, ასეთი ორგანიზაციები სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან ფინანსური ქმედითუნარიანობის შენარჩუნების და თავდაპირველი მანდატის და მიზნების შესრულების კუთხით.</p>	<p>კონსერვაცია/სოფლის განვითარებაზე ორიენტირებული დონორი პროექტები.</p>
<p>2. საქართველოში არის მოთხოვნა გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების შესახებ განათლების და ცნობიერების ამაღლების სერვისებზე, განსაკუთრებით ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკების და მსგავსი ახალგაზრდული საგანმანათლებლო / გამოცდილების შექმნაზე ორიენტირებული ღონისძიებების თვალსაზრისით (საჯარო და კერძო სექტორების კლიენტები / პროგრამები). ეს უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიის მხარდამჭერ არასამთავრობო ორგანიზაციებს ძირითადი დაფინანსების პოტენციური წყაროთი ისე, რომ თავიანთი თავდაპირველი ფუნქციების/მიზნების ერთგული დარჩებიან.</p>	<p>კონსერვაციაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში.</p>
<p>3. საქართველოს არსებული გამოცდილება და შესაძლებლობა არასამთავრობო / სათემო ორგანიზაციების ორგანიზების და მართვის, განსაკუთრებით კი, მდგრადი ფინანსური დაგეგმვის კუთხით შეზღუდულია. ეს ის ასპექტია, რასაც დონორების მხრიდან მხარდაჭერა და ფოკუსირება ესაჭიროება.</p>	<p>შესაბამისი დონორი ორგანიზაციები.</p>
<p>4. ნორჩ რეინჯერთა პროგრამა ადგილობრივი თემების ჩართულობის და მომავალი თაობების აღზრდისადმი პოპულარული და ძალიან ქმედითი, დაბალხარჯიანი მიდგომაა. სათემო რეინჯერების პროგრამა უფრო რთულია და შესაფერის ვითარებასა და სწორ მიდგომას საჭიროებს.</p>	<p>შესაბამისი დონორი ორგანიზაციები, დაცული ტერიტორიების სააგენტო, კონსერვაციაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები.</p>

რეკომენდაციები	სამიზნე ორგანიზაცია
<p>1. თუ დონორი ორგანიზაციები აპირებენ კონსერვაციასა და დაცული ტერიტორიის დაარსებაზე ორიენტირებული არასამთავრობო / სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერას, მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გრძელვადიანი მდგრადობის საკითხს და რესურსები მოახმარონ ამ ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას ასეთი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.</p>	<p>კონსერვაციაზე ორიენტირებული დონორი ორგანიზაციები.</p>
<p>2. სათემო რეინჯერების კონცეფციას მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, გაზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის საქმეში; თუმცა, ამ კონცეფციის პრაქტიკული გამოყენება და ქმედუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად მოხდება ადგილობრივი გარემოებების და მოტივაციების ერთმანეთთან შეხამება.</p>	<p>კონსერვაციაზე ორიენტირებული დონორი ორგანიზაციები, დაცული ტერიტორიების სააგენტო, კონსერვაციაზე ორიენტირებული სხვა მენეჯერები და დაინტერესებული მხარეები.</p>
<p>3. ნორჩი რეინჯერების კონცეფცია ეფექტიანი და პერსპექტიული ვარიანტია ბუნებრივი რესურსების კონსერვაციის და მდგრადი გამოყენების საქმეში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩასართავად და ამ საკითხებზე მომავალი თაობების ცნობიერების ასამაღლებლად; რეკომენდებულია ამ მიდგომის სხვაგან დანერგვა.</p>	<p>კონსერვაციაზე ორიენტირებული დონორი ორგანიზაციები, დაცული ტერიტორიების სააგენტო, კონსერვაციაზე ორიენტირებული სხვა მენეჯერები და დაინტერესებული მხარეები.</p>

6. საშუალო მერქნის შემცირების საპილოტო აქტივობები მაჭახლის ხეობაში

6.1 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

საშუალო მერქნის მნიშვნელობა: აჭარის სოფლების მოსახლეობა, მათ შორის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები თემები, საშუალო მერქანს გასათბობად, საკვების დასამზადებლად და წყლის გასაცხელებლად იყენებენ. ამ რესურსს ისინი ახლომდებარე ტყეებში მოიპოვებენ.

ამრიგად, ტყიანი უბნები, მათ შორის სატყეო სააგენტოს ტერიტორიები და ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონები საშუალო მერქნის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.

შესაბამისად, საშუალო მერქანზე მოთხოვნა სერიოზულ ზეწოლას ქმნის აჭარის ტყის რესურსებზე; აქედან გამომდინარე, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების საქმიანობის დიდი ნაწილი ადგილობრივი თემებისთვის საშუალო მერქნის იდენტიფიცირებას, განაწილებას და რეგულირებას ანდა საშუალო მერქნის არალეგალური მოპოვების პრევენციას ეთმობა.

მაჭახლის ხეობის თემები განსაკუთრებით არიან დამოკიდებული საშუალო მერქნის ადგილობრივ წყაროებზე. ეს დამოკიდებულება პოტენციურად არამდგრადია, თუ გავითვალისწინებთ იმ ზემოქმედებას, რასაც ტყეები ამის გამო უკვე განიცდიან. ახალი ეროვნული პარკის დაარსება და შედეგად, საშუალო მერქნის მოპოვებაზე ახალი შეზღუდვების შესაძლო დაწესება ადგილობრივი მოსახლეობის დიდ შემფოთებას იწვევს და კონფლიქტის პოტენციურ წყაროს წარმოადგენს.

სტრატეგიული მიდგომები - მიწოდების და მოთხოვნის დარეგულირება: აჭარის დაცული ტერიტორიების პროექტში საშუალო მერქნის საკითხი ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განისაზღვრა; ასევე, განისაზღვრა სტრატეგიის შემუშავების საჭიროება, რომელშიც ამ პრობლემის ეფექტიანი მოგვარებისთვის, მისი ორივე ასპექტი - **მიწოდება** (ანუ საშუალო მერქნის ეფექტიანი და მდგრადი მოპოვება და მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის) და **მოთხოვნა** (მოთხოვნის შემცირება და შესაბამისად, ბუნებრივ რესურსებზე ზეწოლის შემსუბუქება) იქნებოდა გათვალისწინებული.

მე-2 სტრატეგიული მიმართულება - მოთხოვნის შემცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მაჭახელში ჩატარებულმა პირველადმა ინვენტარიზაციამ და შეფასებამ აჩვენა, რომ არსებული მარაგი შესაძლოა მომავალში არ იყოს საკმარისი

ადგილობრივი მოსახლეობის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად, მიწოდების ეფექტიანობის გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, არსებული პრობლემები შესაძლოა სრულად ვერ გადაიჭრას და ამიტომ, აუცილებელია, რომ პარალელურად შემცირდეს მოთხოვნა, თუ მიზანი საშეშე მერქანზე საერთო ზეწოლის შერბილებაა.

მთავარი მიზანი: აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტმა 2016 წელს წამოიწყო საშეშე მერქანზე მოთხოვნის შემცირების ქვეპროექტი, რომლის მთავარი მიზანი იყო:

ისეთი მეთოდების/ტექნოლოგიის ტესტირება, დემონსტრირება და დანერგვის ხელშეწყობა, რომლებიც შეამცირებს მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარედ მცხოვრები ადგილობრივი თემების მოთხოვნას საშეშე მერქანზე.

შესაბამისი სამუშაოების ჩასატარებლად, კონკურენტული ტენდერის გზით, შეირჩა არასამთავრობო ორგანიზაცია „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“.

ქვეპროექტი ორი ეტაპისგან შედგებოდა:

1-ლი ეტაპი: ენერგოეფექტური ალტერნატივების ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასება, რომლებიც მაჭახლის ხეობის ოჯახებს შეაძლებინებდა შეემცირებინათ საშეშე მერქნის მოხმარება და ამავე დროს, შეენარჩუნებინათ (ან გაეუმჯობესებინათ) ცხოვრების ხარისხი ეკონომიკურად რენტაბელური გზით.

ამ ეტაპის მიზანი იყო იმ პირველადი ვარიანტების და ტექნოლოგიების მიზანშეწონილობის შეფასება, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იყო; სავლელე კვლევებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების გზით პერსპექტიული ვარიანტების განსაზღვრა ტესტირებისა და დემონსტრირებისთვის. ამ გზით შეირჩა რამდენიმე ყველაზე შესაფერისი ვარიანტი პრაქტიკული ტესტირებისთვის.

მე-2 ეტაპი: შერჩეული ვარიანტების **პრაქტიკული ტესტირება, მონიტორინგი და დემონსტრირება** (იხილეთ ზემოთ) და წარმატებული ვარიანტების შედეგებისა და პრაქტიკული სარგებლის შესახებ **ინფორმაციის გავრცელება**.

დაიწყო მიზანშეწონილობის კვლევაში განსაზღვრული ყველაზე შესაფერისი ვარიანტების სავლელე ტესტირება მაჭახლის ხეობაში. ტესტირებამ გამოავლინა რამდენიმე ალტერნატივის შეუფერებლობა და შესაბამისად, მათი ტესტირება შეწყდა (მაგალითად, ნახშირის, როგორც შემის ალტერნატივის ტესტირება შეწყდა მაღალი ხარჯის და სხვა არასახარბიელო ფაქტორების გამო).

ტესტირება მიმდინარეობდა მოხალისე ოჯახებსა და ერთ სკოლაში. დანადგარების ადაპტირება როგორცაა, ღუმელებისთვის თხილის ნაჭუჭების ჩასატვირთის მოწყობა ადგილობრივმა სახელოსნოებმა შეასრულეს, ხოლო ყველა აღჭურვილობა შესყიდული იქნა აჭარის რეგიონში მოქმედი საცალო მოვაჭრეებისგან (მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლები, სხვა).

ძირითადი ტესტირებული ვარიანტები იყო:

- თხილის ნაჭუჭები (სასოფლო-სამეურნეო ნარჩენები) როგორც ალტერნატიული საწვავი
- ხის ნახერხის და ვაზის ყლორტების ანასხალის (სასოფლო-სამეურნეო/-სამრეწველო ნარჩენები) ბრიკეტები
- მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლები, რომ ჩაენაცვლებინა/შეეცხო საშუა მერქანი საოჯახო საჭიროებებისთვის წყლის გასაცხელებლად.



6.2 განხორციელებული ქმედებების და შედეგების შეჯამება:⁴

ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების მქონე ვარიანტები საშუა მერქანზე მოთხოვნის შემცირების, ასევე ეკონომიკური მიზანშეწონილობის და მრავალი დამატებითი სარგებლის (უკეთესი გათბობა, ცხელი წყლის მეტი მოცულობა, ნაკლები დაბინძურება, ნაკლები CO₂-ის გამოყოფა, სხვა) თვალსაზრისით იყო:

- ა) თხილის ნაჭუჭები, როგორც საშუა მერქნის ალტერნატივა;
- ბ) მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლები, როგორც საშუა მერქნის ალტერნატივა.

⁴ ემყარება „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს“ მიერ მომზადებულ ანგარიშებს.



თბილისის ნაჭუჭების გამოყენების მთავარი შედეგები

გამოიყენა 11 ოჯახში 2016/17 წლებში - 2017/18 წლებში 52-მა ოჯახმა დაიწყო გამოყენება, ხოლო 2018/19 წლებში მათი რაოდენობა 60-მდე გაიზარდა (მინიმუმ)

საშუალო მერქნის გამოყენება დაახლოებით 510 მ³-ით შეამცირა 52 ოჯახმა 2017/18 წლებში

პოტენციური ზეგავლენა 2021 წლისთვის, თუ გამოყენების არსებული ტენდენცია შენარჩუნდება:

- 250 ოჯახი 2021 წლისთვის
- 2,250 მ³ დაზოგილი საშუალო მერქანი – დაახლოებით 500 ხის ეკვივალენტი
- დაზოგვის ამ დონით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში - 5000 ხის ეკვივალენტი (იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ მოხდა გამოყენების ახალი შემთხვევების შემდგომი ზრდა).
- ეს ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს CO²-ს გამოყოფას



მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლის მთავარი შედეგები


გამოიცადა 5 ოჯახში 2017/18 წლებში

საშუალო მერქნის გამოყენება 18 მ3-ით შემცირდა (4 ოჯახი – ანუ საშუალოდ 4.5 მ3 / ოჯახზე)

2017 წლის შემდეგ ახალი გამოყენების შემთხვევები = დამატებით 10 ოჯახი

მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების პოტენციური ზეგავლენა - საშუალოდ 4.5 მ3 საშუალო მერქნის დანაზოგი ერთ ოჯახზე

- 30 ოჯახი 2021 წლისთვის = დაახლოებით 135 მ3 დანაზოგი წელიწადში = დაზოგილი 30 ხე (კონსერვატიული პროგნოზი)
- 10 წელიწადში = დაზოგილი 300 ხე



6.3 საშეშე მერქანზე მოთხოვნის შემცირება - მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები

მიღებული გამოცდილება	ძირითადი რეკომენდაციები
<ul style="list-style-type: none"> • საველე სამუშაოების დაწყებამდე მნიშვნელოვანია მიზანშეწონილობის შეფასების ჩატარება, რომ საქმიანობის ფოკუსირება მოხდეს ტექნიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად ყველაზე შესაფერის ტექნოლოგიებსა და ალტერნატივებზე. • თხილის ნაჭუჭები საშეშე მერქნის ყველაზე პერსპექტიულ ალტერნატივას წარმოადგენს მაჭახლის ხეობაში არსებულ ვითარებაში (და სავარაუდოდ, აჭარის მსგავს ტერიტორიებზე). • ოჯახების ერთობლივი ქმედებები, როგორც ორგანიზებული იქნა მაჭახლის ხეობაში თხილის ნაჭუჭების შესასყიდად, მნიშვნელოვანი მექანიზმია ხარჯების შესამცირებლად და ალტერნატიული საწვავის გამოყენების გასაზრდელად. • მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლები ეფექტიანი საშუალებაა, რომ ადგილობრივმა ოჯახებმა შეამცირონ საშეშე მერქანზე დამოკიდებულება (და მოხმარება) და მიიღონ ბევრი სხვა დამატებითი სარგებელი (ცხელი წყლის მეტი მოცულობით და ხანგრძლივობით მიღება, დაბინძურების/ნარჩენების შემცირება, ელექტროენერჯის მოხმარების შემცირება და სხვა). • საშეშე მერქნის ალტერნატივების უფრო ფართო დანერგვამ შესაძლოა შედარებით მოკლე დროში (5-დან 10 წლამდე) ძალიან მნიშვნელოვნად იმოქმედოს აჭარის ტყეებზე ანთროპოგენური ზეწოლების შემცირებაზე. • ადგილობრივი ოჯახების ეკონომიკური შესაძლებლობა, დაიწყონ ალტერნატიული საწვავის მოხმარება ყველაზე კრიტიკული ფაქტორია; საკრედიტო საშუალებების უზრუნველყოფა, რომლებითაც 	<ul style="list-style-type: none"> • ხელი უნდა შეეწყოს საშეშე მერქნის ალტერნატივების გამოყენებას და ეს საკითხი პრიორიტეტად განისაზღვროს რეგიონულ და ეროვნულ სატყეო მეურნეობებში, დაცულ ტერიტორიებზე, სოფლის განვითარების და კლიმატის ცვლილების შერბილების/ადაპტირების სტრატეგიებსა და გეგმებში. • ყველა შესაბამისმა მხარემ, განსაკუთრებით დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებმა, მუნიციპალიტეტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დონორებმა ხელი უნდა შეუწყონ სოფლებში შესაფერისი ალტერნატიული საწვავის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მის დემონსტრირებას და მის გამოყენებას იმ მრავალი სარგებლის გამო, რაც ალტერნატიულ საწვავს მოაქვს. • კერძო სექტორის ჩართულობა როგორცაა შესაბამისი აღჭურვილობის საცალო გამყიდველები, შესაბამისი ბიომასის მწარმოებლები, შეკეთების სერვისის მიმწოდებლები, სხვა. მნიშვნელოვანი იქნება იმ ეკონომიკური ბარიერების მინიმუმამდე შესამცირებლად, რომლებიც ხელს უშლის ალტერნატიული საწვავის მოხმარების დაწყებას; მთავრობამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დონორებმა მხარი უნდა დაუჭირონ კერძო სექტორს ინოვაციური მიდგომების და მექანიზმების შემუშავებაში, რათა შემცირდეს საჭირო საწყისი ინვესტიცია და ალტერნატიული

შემცირდება საჭირო საწყისი ინვესტიციები და ხარჯები რამდენიმე წელზე გადანაწილება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია ალტერნატიული საწვავის მოხმარების წახალისებისთვის.

- ინფორმაციის სიმწირე და ალტერნატიული საწვავის მოხმარების პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა მთავარი ბარიერია მისი გამოყენების დაწყებაში; გამოყენების დემონსტრირება ძალიან მნიშვნელოვანია ამ საწყისი ბარიერის გადასალახავად.
- მთავარი მექანიზმი, რაც ოჯახებს ალტერნატიული საწვავის გამოყენებისკენ უბიძგებს, არის თვითონ ოჯახების სურვილი, მიიღონ ეკონომიკური და სხვა სარგებელი (კომფორტი, უკეთესი შედეგები, სხვა). თუმცა, სხვა მხარეების (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული მთავრობები და უწყებები, არასამთავრობოები, საცალო მოვაჭრეები, ფინანსური ინსტიტუტები) ძალისხმევა, ხელი შეუწყონ თანამშრომლობას და მასშტაბის ეფექტს, დაფინანსების გამარტივებას და ცნობიერების ამაღლებას ძალიან მნიშვნელოვანია საწყისი ბარიერის გადასალახავად.
- საშემე მერქნის ალტერნატივების შემუშავებას და გამოყენებას მრავალი სარგებელი მოაქვს სასოფლო რეგიონებისთვის - გარემოსდაცვითი სიკეთის გარდა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის სარგებელი.

საწვავის/შეკეთების ხარჯები (საკრედიტო სქემები, საწვავის შესყიდვის კოოპერატივები, სხვა).

- საშემე მერქნის ალტერნატივების დანერგვა და პოპულარიზება უნდა ემყარებოდეს ფაქტობრივ ცოდნას და სოფლად მცხოვრები ოჯახების კონკრეტული, ცხოვრებისეული საჭიროებების და შესაძლებლობების გააზრებას, თუ მიზანი ამ ალტერნატივების ხანგრძლივად გამოყენება და მათი დადებითი ზეგავლენაა. ამიტომ, ნებისმიერ ასეთ ინიციატივას აუცილებლად უნდა უსწრებდეს სამიზნე თემებთან კონსულტაცია და მიზანშეწონილობის შეფასება.
- ალტერნატიული საწვავის ტექნოლოგიების და მიდგომების გაცნობის და მათი გააზრების საუკეთესო გზა არის მათი დემონსტრირება ადგილობრივ თემში; ამრიგად, გამართლებულია ალტერნატიული საწვავის თავდაპირველი დემონსტრირების სუბსიდირება, რათა მოხდეს ადგილობრივების ინფორმირება და დაიძლიოს უნდობლობა.

6.4 განხორციელებული ქმედებები და მიღებული შედეგები - შემაჯამებელი ცხრილები

• ენერგომოხმარება და საშეშე მერქნის ალტერნატივის კვლევა ადგილობრივ თემებში		
შედეგები	დეტალური განმარტება / რაოდენობრივი გამოსახვა	მიღებული გამოცდილება / რეკომენდაცია
<p>მაჭახლის ხეობის ოჯახების ენერგომოხმარებასთან დაკავშირებული რეალური საჭიროებების და ეკონომიკური მოთხოვნების უკეთ გააზრება და საშეშე მერქნის ეფექტური ალტერნატიული ვარიანტების ზემოქმედება.</p> <p>ოჯახების მიერ საშეშე მერქნის მოხმარების საწყისი მონაცემები.</p> <p>პარტნიორი ოჯახების განსაზღვრა, ვისაც ალტერნატიული საწვავის გამოყენება სურს და მათი თანადაფინანსება.</p>	<p>საშეშე მერქანი / ალტერნატიული ვარიანტები ეფექტიანი და რენტაბელური რომ იყოს, უნდა შეესაბამებოდეს ოჯახების რეალურ მოთხოვნებს; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ იქნება სოციალურად/ეკონომიკურად მიმზიდველი (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტექნიკურად ეფექტიანია საშეშე მერქნის მოხმარების შემცირებაში). ოჯახების საჭიროებების პირველმა დეტალურმა შეფასებამ შესაძლებელი გახადა საუკეთესო/ყველაზე შესაფერისი ვარიანტების შერჩევა ოჯახებში ტესტირებისთვის.</p> <p>რაოდენობრივი მონაცემები, თუ რამდენ საშეშე მერქანს მოიხმარს ოჯახები და რა მიზნით, ხელმისაწვდომი იყო. ეს ინფორმაცია შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს არსებული მოხმარება და ასევე მოხდეს დაკვირვება გატარებული ქმედებების ეფექტურობაზე (ანუ, გაიზომოს საცდელი მეთოდების/ტექნოლოგიების შედეგად მოხმარების შემცირება). ასევე მნიშვნელოვანია სოციალურ/ეკონომიკური ფაქტორების შესახებ საწყისი მონაცემების ქონა (ცხელი წყლის მოხმარების დონეები, ზაფხულში საკვების დასამზადებლად საწვავის მოხმარება, სხვა).</p> <p>საველე ტესტირება მიმდინარეობდა 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის აპრილამდე (2016-2017 წლების გათბობის სეზონი),</p>	<p>პროექტის გამოცდილებამ აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია ოჯახების და საშეშე მერქნის სხვა მომხმარებლების (სკოლები, სხვა) პრაქტიკული საჭიროებების სრულად გათვალისწინება.</p> <p>შეფასების შედეგად რამდენიმე ვარიანტი უარყოფილი ან მათი მნიშვნელობა გადაფასებული იქნა და უპირატესობა მიენიჭა სხვა ვარიანტებს, რომლებიც უკეთ შეესაბამებოდა ოჯახების საჭიროებებს და შესაძლებლობებს.</p> <p>ამან მნიშვნელოვნად გაზარდა: ა) შემდგომი წარმატება და სხვა ოჯახების მიერ ამ ვარიანტების გამოყენება, ბ) ძალისხმევის ეფექტიანობა (ყურადღების ფოკუსირება ყველაზე პერსპექტიულ ვარიანტებზე)</p> <p>საწყისი მონაცემების ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესია ეფექტიანობის შესაფასებლად (არა მარტო საშეშე მერქნის მოხ-</p>

	<p>საშემე მერქანი ჩანაცვლდა ალტერნატიული საწვავით - ქედქედის საჯარო სკოლის 2 საკლასო ოთახში გამოიყენებოდა <u>ორი ტიპის ბრიკეტი და თხილის ნაჭუჭები და სამი სოფლის (ქედქედი, ქვედა ჩხუტუნეთი და ზედა ჩხუტუნეთი) 11 ოჯახში გამოიყენებოდა თხილის ნაჭუჭები.</u></p> <p>ასევე, 2017 წელს მზის კოლექტორები დამონტაჟდა 5 ოჯახში წყლის გასაცხელებლად საშემე მერქნის ჩასანაცვლებლად.</p>	<p>მარების თვალსაზრისით, არამედ მომხმარებლების სარგებლის/სირთულეების და ახალი მეთოდებით/ტექნოლოგიებით მათი კმაყოფილების თვალსაზრისით)</p> <p>პარტნიორების განსაზღვრა უნდა მოხდეს მსურველთა თვითდაინტერესების საფუძველზე; მათი მონაწილეობა თანადაფინანსებაში რეალურად უზრუნველყოფს მათ პასუხისმგებლობას გამოცდის პრატიკული განხორციელების მიმართ.</p>
--	--	--

<p>• საშემე მერქნის ჩანაცვლება თხილის ნაჭუჭებით (ოჯახებსა და სკოლაში)</p>		
შედეგი	დამატებითი დეტალები, განმარტება და რაოდენობრივი მონაცემები	მიღებული გამოცდილება / რეკომენდაცია
<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი მწარმოებლების მიერ ღუმელების გადაკეთება თხილის ნაჭუჭის გამოყენებისთვის 11 ოჯახში - 2016/17 წლების ზამთარში ღუმელებში თხილის ნაჭუჭის წარმატებით გამოყენების შედეგად 94 მ³-ით ნაკლები საშემე მერქანი იქნა გამოყენებული (დაახლოებით 8.5 მ³-ით ნაკლები თითო ოჯახზე) 	<p><i>ნაჭუჭის მარაგი / სარგებელი:</i> ვინაიდან ნაჭუჭის სითბური კოეფიციენტი 2-ჯერ აღემატება საშემე მერქნისას, 1 მ² ნაჭუჭი უდრის 2 მ³ საშემე მერქანს და წონის თვალსაზრისით 780 კგ თხილის ნაჭუჭით ჩანაცვლდა 3,25 მ³ საშემე მერქანი.</p>	<p>შესაძლებელია ადგილობრივად და იაფად გადაკეთდეს არსებული ღუმელები თხილის ნაჭუჭის გამოსაყენებლად.</p> <p>თხილის ნაჭუჭის გამოყენება პრატიკულია ოჯახების რეალურ სიტუაციაში და მისაღებია მათთვის.</p>

<ul style="list-style-type: none"> - 2016/17 წლების სეზონზე დადასტურდა თხილის ნაჭუჭის გამოყენების ეკონომიკური რენტაბელურობა და უპირატესობა - ამოგების ვადა = დაახლოებით 0.5 წელი - ქედქედის საჯარო სკოლის ერთ საკლასო ოთახში – დაახლოებით 3 მ³ საშუაზე მერქანი ჩანაცვლდა თხილის ნაჭუჭებით – დაზოგილი ხარჯი დაახლოებით 96 ლარია (720 კგ ნაჭუჭი = დაახლოებით 144 ლარი, 3 მ³ შემა = 240) 	<p><i>ეკონომიკური რენტაბელურობა:</i> 1მ³ საშუაზე მერქნის ჩასანაცვლებელი თხილის ფასი დაახლოებით 48-53 ლარია, ხოლო 1 მ³ საშუაზე მერქანი ოჯახებს საშუალოდ 80 ლარი უჯდება. ამრიგად, დაახლოებით 30 ლარი დაიზოგა ყოველ გამოყენებულ 1 მ³ საშუაზე მერქანზე. თუ ოჯახის საშუალო მოხმარება სეზონზე 10 მ³-ა, იზოგება დაახლოებით 300 ლარი ერთ სეზონზე.</p> <p><i>ინვესტიციის ამოგების პერიოდი:</i> თხილის ნაჭუჭის მოხმარებისთვის ღუმლის გადაკეთების ხარჯი შეადგენდა დაახლოებით 120 ლარს. ამრიგად, საწყისი ინვესტიციის ამოგება შეიძლება ნახევარ სეზონზე (ამოგების ვადა 0.5 წელი)</p> <p><i>პოზიტიური:</i> საშუაზე მერქნის გამოყენების შემცირება, ხარჯების შემცირება, CO₂-ს გამოყოფის შემცირება, ფერფლის და ნამწვავის შემცირება.</p> <p><i>ნეგატიური:</i> საჭიროებს მშრალ საწყობს (რაც რთულია სკოლაში)</p>	<p>თხილის ნაჭუჭის გამოყენება ეკონომიკურად მომგებიანია (შემაზე იაფია), საინვესტიციო ხარჯები დაძლევადა და ნაჭუჭის შესანახი სივრცე უფრო მცირეა.</p> <p>ნედლი მასალა (ნაჭუჭი) საკმარისად ხელმისაწვდომია როგორც რეგიონული თხილის გადამამუშავებელი ქარხნების ნარჩენი პროდუქტი.</p>
--	---	--

- 2016-2017 წლების საპილოტე აქტივობების შემდეგ აღრიცხული ალტერნატიული საწვავის გამოყენების ახალი შემთხვევები და პოტენციური ზეგავლენის პროგნოზი პირველად შედეგებზე დაყრდნობით.

გამოყენების ახალი შემთხვევები (2018 წლის აგვისტოსთვის)

<ul style="list-style-type: none"> • შეიქმნა არაფორმალური სათემო საინიციატივო ჯგუფი თხილის ნაჭუჭების საჭირო რაოდენობით შესყიდვის, მოტანის და განაწილების ორგანიზებისთვის. • ოჯახების რაოდენობა, რომლებიც იყენებენ თხილის ნაჭუჭების ღუმელებს გაიზარდა 11-დან 2016/17 წელს 52-მდე 2017/18 წელს. • საშეშე მერქნის გამოყენების საპროგნოზო შემცირება 2017/18 სეზონზე შეადგენს მინიმუმ 510 მ³-ს. • <u>აჭარაში მიმდინარეობს</u> საშეშე მერქნის ალტერნატიული საწვავის სახეობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ოჯახების მიერ მათი დანერგვა; ანუ, ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) და გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული აქტივობების დანერგვა და გაძლიერება დაგეგმილია ქედის მუნიციპალიტეტში 2018 წელს • ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი განიხილავს დაბალშემოსავლიანი ოჯახების თხილის ნაჭუჭით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების საკითხს. 	<p><i>არაფორმალური სათემო საინიციატივო ჯგუფი (ადგილობრივი ოჯახები და ეროვნული პარკი): ამ ჯგუფს მიეწოდა გურიასა და სამეგრელოში თხილის ქარხნების საკონტაქტო ინფორმაცია.</i></p> <p><i>საინიციატივო ჯგუფმა დაამყარა კონტაქტები სხვადასხვა მწარმოებელთან, შეათანხმა ფასი, განსაზღვრა ტრანსპორტი და სექტემბრისთვის იყიდა ნაჭუჭები და მიიტანა მაჭახელში. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი დაეხმარა ამ ინიციატივას ტრანსპორტით, რომ თხილის ნაჭუჭების ტომრები სოფლებამდე მიეტანათ.</i></p> <p>საპროგნოზო შემცირება 2017/18 წლებში: 52-მა ოჯახმა შეიძინა 142 ტონა თხილის ნაჭუჭი, რაც ჩაანაცვლებს 510 მ³ საშეშე მერქანს.</p>	<p>ოჯახების, მუნიციპალიტეტის, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების როგორებიცაა ეროვნული პარკი, აჭარის სატყეო სააგენტო, მუნიციპალიტეტი, მაჭახელას და მტირალას მეგობართა ასოციაცია და სხვები თანამშრომლობა ეფექტიანი იქნება საწვავის მოხმარებაში ცვლილებების გასაადვილებლად.</p> <p>ანუ ბითუმად შესყიდვის ორგანიზებაში დახმარება და ოჯახების ხარჯების შემცირება არაფორმალური სათემო საინიციატივო ჯგუფების გზით, სხვა</p>
--	--	--

გამოყენების ახალი პოტენციური შემთხვევების პროგნოზი 2018 წლის აგვისტოს შედეგების საფუძველზე

<ul style="list-style-type: none"> ოჯახების საპროგნოზო რაოდენობა, რომლებიც თხილის ნაჭუჭის საწვავს გამოიყენებენ 2021 წლისთვის = 250 ოჯახი გამოუყენებელი საშეშე მერქნის პროგნოზი 2021 წლისთვის = 2,250 მ³ (1080 ტონა) საშეშე მერქანი. ეს იქნება დაახლოებით გამოუყენებელი 500 ხის ეკვივალენტური 2021 წელს (ანუ 10 წლის განმავლობაში საწვავისთვის გამოუყენებელი დაახლოებით 5000 ხე) 	<p>პროგნოზები ემყარება 2016-დან 2017-მდე აღრიცხულ გამოყენების ახალ შემთხვევებს - ასეთ მცირე მონაცემებზე დამყარებული მონაცემები შეიცავს უზუსტობებს (როგორც ნეგატიურს, ასევე პოზიტიურს) - შესაძლოა, გამოყენების ახალი შემთხვევები ნაკლები იყოს, თუმცა ასევე შესაძლებელია, მეტი იყოს.</p> <p>ამაზე შეიძლება იმოქმედოს მრავალმა ფაქტორმა - ყველაზე მნიშვნელოვანია თხილის ნაჭუჭების ხელმისაწვდომობის უწყვეტობა და ფასი.</p> <p>2,250 მ³-ის ეკვივალენტური ხეების რაოდენობა სატყეო საქმის ექსპერტის გათვლებს ემყარება (იმ ვარაუდით, რომ ხე არის 4 - 5 მ³ – საშუალოდ 4.5 მ³. ამრიგად 2,250 მ³-ის დაზოგილი საშეშე მერქანი დაახლოებით 500 ხეა (2,250 / 4.5=500)</p>	<p>საპილოტე აქტივობებმა აჩვენა, რომ საწვავის ახალ ვარიანტებს და ალტერნატივებს აქვთ:</p> <ul style="list-style-type: none"> ადგილობრივი თემების მხრიდან გამოყენების რეალური პოტენცია. შესაძლებლობა მნიშვნელოვანად შეამციროს მოთხოვნა საშეშე მერქანზე და შესაბამისად, არსებული ზეწოლა ტყეზე. თხილის ნაჭუჭი არის (ყოველ შემთხვევაში, ამჟამად) საშეშე მერქნის ეკონომიკურად, სოციალურად და ეკოლოგიურად პერსპექტიული ალტერნატივა.
---	---	--

- შედეგები და მიღებული გამოცდილება - ბიომასის ბრიკეტების ტესტირება სკოლაში (ქედქედი, 1 საკლასო ოთახი) – ორი ტიპის ბრიკეტი (ხის ნახერხი და ვაზის ყლორტების ანასხალი)

შედეგი	დამატებითი დეტალები, განმარტება და რაოდენობრივი მონაცემები	მიღებული გამოცდილება / რეკომენდაცია
<p>დაახლოებით <u>3,3 მ³ საშუაშე მერქანი ჩანაცვლდა 830 კგ ბრიკეტით</u></p> <p>ბრიკეტები <u>ოდნავ უფრო ძვირია ვიდრე საშუაშე მერქანი</u> (ანუ 830 კგ ბრიკეტი = 415 ლარი, 3.3. მ³ შემა = დაახლოებით 330 ლარი საჯარო დაწესებულებისთვის, როგორცაა სკოლა – <u>ბრიკეტები 285 ლარით მეტი დაჯდა</u>)</p>	<p>ტექნიკური პარამეტრების მიხედვით, ბრიკეტების სითბური კოეფიციენტი არის 4,600 კკალ/კგ (ანუ 19,25 მეგაჯოული/კგ); მარტივ გაანგარიშებებზე დაყრდნობით 1 კგ საშუაშე მერქანი შეიძლება 0,53 კგ ბრიკეტით ჩანაცვლდეს, ან სხვაგვარად თუ ვიტყვით, თუ 1 მ³ საწვავი შემა იწონის 480 კგ-ს მაშინ 1 მ³ საშუაშე მერქანი ჩანაცვლდება 255 კგ ბრიკეტით. ამრიგად, 830 კგ ნახერხის ბრიკეტებმა ჩანაცვლა 3,3 მ³ საშუაშე მერქანი.</p> <p><u>საკლასო ოთახში ბრიკეტების პრაქტიკული გამოყენების გამოცდილებამ ორი მთავარი ნეგატიური ფაქტორი გამოავლინა</u></p> <ol style="list-style-type: none"> 1. სავარაუდოდ, ბრიკეტები ჭარბად იქნა მოხმარებული, იმ რაოდენობით, როგორც შეშას მოხმარდნენ (ჰაერის ნაკადი არ შემცირებულა) - ამიტომ მოხმარება მეტი იყო, ვიდრე მოსალოდნელი ან აუცილებელი. 2. ბრიკეტების ფასი აღმატებოდა ეკვივალენტური რაოდენობის საშუაშე მერქნის ფასს - უფრო ეფექტიანი მოხმარების შემთხვევაშიც კი ბრიკეტების ფასი ტოლი ან მეტი იქნებოდა საშუაშე მერქნის ფასზე. 	<p><i>მიღებული გამოცდილება:</i> ბრიკეტების დაწერგვისთვის საჭიროა ტრენინგი/ცნობიერების ამაღლება მათი გამოყენების თაობაზე.</p> <p><i>მიღებული გამოცდილება:</i> ბრიკეტების გამოყენებას შეშის გამოყენების შემცირების გარდა, სხვა დამატებითი სარგებელი მოაქვს, მათ შორის: გამოყენების სიმარტივე, მეტი სითბო, ნაკლები ფერფლი, მცირე შესანახი ადგილი.</p> <p>მაგრამ ეკონომიკურად ნაკლებ მიმზიდველია (იგივე ან უფრო მაღალი ფასი).</p> <p>სავარაუდოდ, ოჯახების მიერ მისი გამოყენების ახალი შემთხვევები არ იქნება ბევრი, თუმცა შეიძლება იყოს სამთავრობო უწყებების მიერ გამოყენების მეტი შემთხვევა, განსაკუთრებით, თუ ბითუმად შესყიდვა გააიანფებს ფასს ერთ კგ-ზე.</p>

	<p><u>უპირატესობები, რომლებიც მომხმარებლებმა პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე აღნიშნეს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ადვილი იყო ღუმლის ანთება, არ საჭიროებდა ნავთს ან დიზელის საწვავს; • წვისას ნაკლებ კვამლს უშვებდა, ვიდრე საშუალო მერქანი, არ „ტკაცუნებდა“ და ნაპერწკლებს არ ისვრიდა. • ნაკლები ფერფლი რჩებოდა საშუალო მერქანთან შედარებით; • მეტ სითბოს გამოსცემდა ვიდრე საშუალო მერქანი და სითბო უფრო ხანგრძლივად ნარჩუნდებოდა; • იწვებოდა არსებულ ღუმლებში; • არ საჭიროებდა დიდ შესანახ სივრცეს. 	<p><i>რეკომენდაცია:</i> ბრიკეტების როგორც საშუალო მერქნის ალტერნატივის დანერგვა სკოლებში უნდა განიხილოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რესურს ცენტრებმა და გაითვალისწინონ ყველა დადებითი ფაქტორი, არა მარტო ფასი.</p> <p><i>რეკომენდაცია:</i> ტრენინგი და ცნობიერების ამაღლება ბრიკეტების ეფექტიანი და წარმატებული გამოყენების მნიშვნელოვანი ასპექტია და უნდა იყოს გათვალისწინებული ნებისმიერ აქტივობაში, რომელიც ამ საწვავის დანერგვისთვის განხორციელდება.</p>
--	--	---

<p>• შედეგები და მიღებული გამოცდილება - მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლები ოჯახებისთვის (5 ოჯახი 4 სოფელში - ჩიქუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, აჭარისადმართი)</p>		
შედეგები	დამატებითი დეტალები, განმარტება და რაოდენობრივი მონაცემები	მიღებული გამოცდილება / რეკომენდაცია
<p>თითოეულ ოჯახს მეტი მოცულობის ცხელი წყალი აქვს (150 ლ საშუალოდ 80 ლ-თან შედარებით)</p> <p>ზაფხულში წყლის გასაცხელებლად საშუალო მერქნის გამოყენება შემცირდა დაახლოებით 18 მ³-ით (მხოლოდ 4 ოჯახი*) - შემცირება საშუალოდ 4.5 მ³ ერთ ოჯახზე</p>	<p>შეშის დანაზოგი გაანგარიშებულია ცხელი წყლის იმ გაზრდილ მოცულობაზე, რისი მოხმარებაც შესაძლებელი იქნებოდა უფრო დიდი ცისტერნის შემთხვევაში (150 ლ-იანი, რაც გამოიყენება მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლისთვის) წყლის ტრადიციულ, შეშით გამაცხელებელ ცისტერნებთან შედარებით (80 ლ)</p>	<p>მზის ენერჯით წყლის გამაცხელებლების სარგებელი მნიშვნელოვანია როგორც დანაზოგის (საშუალო მერქნის ხარჯის შემცირება), ასევე კომფორტის თვალსაზრისით - ანუ ცხელი წყლის მეტი მოცულობა და უკეთ იზოლირებული ცისტერნა სითბოს უფრო ხანგრძლივად ინარჩუნებს.</p>

<p>შეშის შემცირებული მოხმარების შედეგად 4 ოჯახის ეკონომიკური დანაზოგია 1440 ლარი (80 ლარი/მ³-ზე) - ანუ 350 ლარი ერთ ოჯახზე.</p> <p>ამოგების სავარაუდო პერიოდი (დრო, რომლის განმავლობაშიც საშუალო მერქნის შემცირებული მოხმარებით მიღებული დანაზოგი გაუტოლდება დამონტაჟების ხარჯს) = 5.42 წელი</p>	<p>მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლის უკეთ იზოლირებამ შეამცირა შეშის გამოყენებაც ღრუბლიან დღეებში.</p> <p>სისტემის მთლიანი ხარჯი, დამონტაჟების და საჭირო მარაგების ჩათვლით, ერთი ოჯახისთვის არის 1,300 ლარი. ასეთი სისტემისთვის ამოგების პერიოდი, საშუალო მერქანზე ოჯახების რეალური ხარჯების მიხედვით, უდრის $1,300/240 = 5.42$ წელს.</p>	<p>მართალია, ამოგების პერიოდი შედარებით ხანმოკლეა (5.42 წელი), დამონტაჟების საწყისი ხარჯი ბარიერს წარმოადგენს მოხმარების დაწყებისთვის - თუმცა, ამ დანადგარების გამოყენების მიერ საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენება მნიშვნელოვანი მექანიზმია ამ ბარიერის შესამცირებლად (საწყისი ხარჯის რაღაც პერიოდზე გადაანაწილება უფრო მცირე თანხებად).</p> <p>გამოყენების ახალი შემთხვევების ხელშეწყობა უნდა მოხდეს ცნობიერების ამაღლებით და ოჯახების პრაქტიკული სარგებლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით, რომლებსაც ასეთი გამაცხელებლები აქვთ.</p>
<p>გამოყენების ახალი შემთხვევები (2018 წლის აგვისტომდე)</p>		
<p>პროექტის მიერ დემონსტრირების შემდეგ 10-მდე ახალმა ოჯახმა საკუთარი ხარჯით დაამონტაჟა მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლები</p> <p>ამჟამად 15-მდე გამაცხელებელი გამოიყენება მაჭახლის ხეობაში.</p> <p>იზოგება დაახლოებით 45 მ³ საშუალო მერქანი (10 ხის ეკვივალენტი)</p>	<p>ეს ციფრი გაანგარიშებულია იმ ვარაუდით, რომ მზის ენერგიით წყლის გამაცხელებელი ზოგავს დაახლოებით 4.5 მ³-ს წელიწადში (ხოლო ხე, საშუალოდ, არის 4.5 მ³)</p>	<p>შედარებით მაღალი საწყისი ხარჯის და 5 წელზე მეტი ამოგების პერიოდის მიუხედავად, ზოგი ოჯახი საკუთარი ხარჯით ამონტაჟებს გამაცხელებლებს.</p> <p>პოზიტიური ფაქტორი შეიძლება იყოს ის, რომ ოჯახებს ეზოგებათ ფული ელექტროენერგიაზე (წყლის გასაცხელებლად).</p>

• გამოყენების ახალი შემთხვევების პროგნოზი და ზეგავლენა 2018 წლის შედეგებზე დაყრდნობით

<p>მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლებს 30 ოჯახი გამოიყენებს 2021 წლისთვის</p> <p>ამით დაიზოგება 135 მ³ წელიწადში</p> <p>რაც უდრის 30 ხეს</p> <p>10 წლის განმავლობაში = დაახლოებით 300 დაზოგილი ხე</p>	<p>ემყარება ვარაუდს, რომ დამატებით 6-7 ოჯახი დაიწყებს მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლის გამოყენებას 2019/2020, 2020/2021 და 2021/2022 წლების სეზონებზე.</p>	<p>მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლის ეფექტიანობის და კომფორტულობის პრაქტიკულმა დემონსტრირებამ გამოავლინა, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> • არსებობს რეალური პოტენციალი, ისინი ადგილობრივმა თემებმა გამოიყენონ. • არსებობს რეალური პოტენციალი, მნიშვნელოვნად შეამციროს მოთხოვნა საშემე მერქანზე და შესაბამისად, ზეწოლა ტყეზე. <p><i>რეკომენდაცია:</i> რეგიონულმა და ადგილობრივმა მთავრობამ სხვადასხვა ფინანსური და პრაქტიკული ზომებით უნდა შეუწყოს ხელი მაღალმთიან რაიონებში მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების გამოყენებას, რათა გაუმჯობესდეს სოფლად ცხოვრების ხარისხი და შემცირდეს მოთხოვნა საშემე მერქანზე.</p>
---	---	---

*მე-5 ოჯახი მანამდე ელექტროგამათბობელს იყენებდა და არა შემას - ელექტროენერჯის დანაზოგი დაახლოებით 1000 კვტ/სთ იყო წელიწადში.

7. ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტის შემცირება

7.1 შესავალი:

აჭარის (და ზოგადად, საქართველოს) სოფლებში ადამიანებსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტის ალბათობა არსებობს ძირითადად იმ შემთხვევაში, თუ გარეული ცხოველები (დათვი, გარეული ღორი, მელა და სხვა) სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ან საქონელს ანადგურებენ. ეს ზიანი ეკონომიკურ ზარალს აყენებს ადგილობრივ თემებს და ამ ზარალის თავიდან ასაცილებლად ისინი სახიფათო მეთოდებს მიმართავენ, მათ შორის საწამლავს, გარეული ცხოველების უკანონო ხოცვას, ძალიან სახიფათო ელექტროლობებს, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს. ამ პრობლემების მოუგვარებლობამ შესაძლოა უარყოფითად განაწყოს ადგილობრივი თემები გარეული ცხოველებისადმი და ასევე, დაცული ტერიტორებისადმი, რომლებსაც გარეული ცხოველების მომრავლებასა და შესაბამისად, მიღებულ ზარალთან აკავშირებენ.

პროექტის დაწყებამდე ამ პრობლემის მასშტაბი არ იყო სათანადოდ შესწავლილი და არც მისი შემცირების ეფექტიანი გზების პრაქტიკული დემონსტრირება მომხდარა. შესაბამისად, პროექტის განხორციელების დასაწყისში არ არსებობდა სანდო მონაცემები პრობლემის მასშტაბის შესახებ, ხოლო ადგილობრივ ოჯახებს მცირე პრაქტიკული გამოცდილება და ინფორმაცია ჰქონდათ ამ პრობლემის მოგვარების ეფექტიანი, უსაფრთხო და ეკონომიკურად რენტაბელური საშუალებების შესახებ.

აქტივობები, რომლებიც პროექტმა ორგანიზაცია „ნაკრესის“ ჩართულობით წამოიწყო, მიზნად ისახავდა მაჭახლის ხეობაში ამ პრობლემის მასშტაბის ზუსტ დოკუმენტირებას და იმ საშუალებების ტესტირებას და ადგილობრივი ოჯახებისთვის იმ გზების ჩვენებას, რომელთა მეშვეობით და პარტნიორებთან თანამშრომლობით (როგორებიცაა ეროვნული პარკის ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტი) მოხდებოდა გარეული ცხოველებისგან ზარალის მიყენებას პრევენცია და შესაძლო კონფლიქტის შემცირება.

7.2 აქტივობები და მიღებული შედეგები

აქტივობები	დაინტერესებული მხარეები	დამატებითი ინფორმაცია და შედეგები
<p>ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის კონფლიქტის კვლევა მაჭახლის ხეობაში</p>	<p>ადგილობრივი თემები, ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი</p>	<p>გამოიკითხა მაჭახლის ხეობის 10-ვე დიდი სოფელი (ქედქედი, სინდიეთი, აჭარისაღ-მართი, სკურდიდი, ცხემლარა, ჩიხუნეთი, ზედა ქოქოლეთი, ქვედა ქოქოლეთი, ქვედა ჩხუტუნეთი და ზედა ჩხუტუნეთი) და სხვადასხვა ადგილობრივი ჯგუფი და თემის ლიდერები, მათ შორის სოფლის რწმუნებულები. შეივსო 85 კითხვარი და მონაცემები შეტანილი იქნა წინასწარ მომზადებულ MS Access-ის მონაცემთა ბაზაში.</p> <p>კვლევის პირველადი მონაცემების თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (რესპონდენტთა 96%) აღნიშნა, რომ გარეული ცხოველები მათ პრობლემებს უქმნიდნენ. - რესპონდენტთა 89%-მა ყველაზე პრობლემურ ცხოველად დათვი დაასახელა. <p>რამდენიმე რესპონდენტმა პრობლემურ სახეობებად ასევე დაასახელა გარეული ღორი, ტურა და მაჩვი. ერთმა ისიც კი აღნიშნა, რომ ზღარბები ბაღში მარწყვს უჭამდნენ. თუმცა, ადამიანისა და მტაცებელის კონფლიქტის მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ ამ ცხოველებისგან მიყენებული ზიანი ბევრად ნაკლებია დათვისგან მიყენებულ ზიანთან შედარებით.</p> <p>ადგილობრივებს მიაჩნიათ, რომ ბოლო წლებში გაიზარდა გარეული ცხოველების მიერ მიყენებული ზიანი. გარეული ცხოველების თავდასხმების გახშირებას ბევრი რესპონდენტი პირდაპირ ან ირიბად უკავშირებს ახლად დაარსებულ მაჭახელას ეროვნულ პარკს. ზოგს იმისიც კი სჯეროდა, რომ ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ დათვები გაუშვა ველურ ბუნებაში, რომლებიც ზიანს აყენებდნენ მათ ქონებას.</p>

		<p>მოსახლეობის მხოლოდ 30%-ია კმაყოფილი იმ მეთოდებით, რაც მათი საკუთრების გარეული ცხოველებისგან დასაცავად გამოიყენება. ამ კატეგორიის რესპონდენტებმა ყველაზე ეფექტიან დამცავ საშუალებად ელექტროღობები დაასახლეს, რისთვისაც საყოფაცხოვრებო ელ. წყაროსთან მიერთებულ ელექტროხაზებს იყენებენ. ასეთი ღობე ეფექტიანი კი იქნება, მაგრამ 220 ვოლტი, 50 ჰერცის ძაბვის გატარება ღობეში უაღრესად საშიშია როგორც ცხოველების, ასევე ადამიანების სიცოცხლისთვის.</p> <p><i>ზეგავლენა:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - აჭარაში პირველად მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის და გარეული ცხოველების კონფლიქტის დოკუმენტირება – „ნაკრესის“ ანგარიში. - შეიქმნა მყარი ბაზა მომავალში გადაწყვეტილებების მიღებისთვის (ანუ კონფლიქტის ტიპისა და მასშტაბის მკაფიო გააზრება).
<p>ადგილობრივი დამოკიდებულებების კვლევა</p>	<p>ადგილობრივი თემები, ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი</p>	<p>მომზადდა დამოკიდებულებების კვლევის კითხვარი და ადგილობრივ მოსახლეობაში დასარიგებლად მოკლე სავლე სამუშაო ჩატარდა 2017 წლის მაისის ბოლოს. „ნაკრესმა“ ამ საქმიანობაში ჩართო მაჭახელას ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი.</p> <p>სავლე სამუშაოების ასისტენტმა კითხვარების დარიგება გააგრძელა ივნისსა და ივლისის დასაწყისში და მოსახლეობისგან შევსებული კითხვარები შეაგროვა. სულ 4 მსხვილი სამიზნე ჯგუფი იყო: (1) სკოლის პედაგოგები, (2) სკოლის მოსწავლეები (მე-9 და ზედა კლასების მოსწავლეები), (3) დაცული ტერიტორიის და სატყეო სამსახურის რეინჯერები და (4) მაჭახლის სხვა მოსახლეობა. სულ დარიგდა 470 კითხვარი და შეივსო 386 (82%).</p> <p>შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობის უმრავლესობას სჯერა, რომ გარეული ცხოველებისგან მიყენებული ზარალი ბოლო წლებში გაიზარდა. • ზოგი მათგანი ამაში მაჭახელას ეროვნულ პარკს ადანაშაულებს; მათი აზრით, დაცვის რეჟიმებმა შეზღუდა ნადირობა ხეობაში, რამაც დათვების პოპულაცია გაზარდა, რომლებიც კიდევ უფრო მეტ ზარალს აყენებენ სოფლის მეურნეობას;

		<ul style="list-style-type: none"> • რესპონდენტების აზრით გარეული ცხოველებისგან მიყენებული ზარალი გაიზარდა ივლისი-სექტემბრის პერიოდში, ხოლო პიკს აგვისტოში მიაღწია; • დათვებისგან ყველაზე დიდი ფინანსური ზარალი მიადგა თხილის პლანტაციებს, რასაც მოსდევს საქონლის და მარცვლეულის ზარალი; • გარეული ღორი ყველაზე ნაკლებად აწუხებთ მაჭახლის ხეობაში. • რესპონდენტთა 71%-მა აღნიშნა, რომ ზარალი ტურებმა მიაყენა; თუმცა, 2017 წელს ტურების მიერ მარცვლეულის მინდვრის დაზიანების მხოლოდ 1 შემთხვევა აღირიცხა, ხოლო მიყენებული ზარალი უმნიშვნელო იყო; • რესპონდენტთა 27%-მა განაცხადა, რომ მაჭახელას ეროვნული პარკი პრობლემებს უქმნის - მთავარი პრობლემა შეშის ჭრასა და ნადირობაზე დაწესებული შეზღუდვებია; • რესპონდენტთა 26%-მა განაცხადა, რომ ისინი სარგებელს იღებენ ეროვნული პარკიდან, ხოლო 42% მომავალში მოელის სარგებლის მიღებას.
<p>ადამიანის და გარეული ცხოველების კონფლიქტის შემცირების საშუალებების ტესტირების სტრატეგია მაჭახლის ხეობაში</p>	<p>ადგილობრივი თემები, ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი</p>	<p>ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებსა და ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესწავლილი იქნა საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილება გარეული ცხოველების, განსაკუთრებით, დათვების მიერ მიყენებული ზარალის პრევენციაში. • შერჩეული იქნა ყველაზე რეალისტური ტექნოლოგიები/მიდგომები მაჭახლის ხეობისთვის. • შერჩეული იქნა პრობლემის გადაჭრის 2 გზა მაჭახლის ხეობაში ტესტირება - დემონსტრირებისათვის: უსაფრთხო ელექტრო ღობეები და საქონლის დაზღვევა.
<p>ელექტროღობეების ტესტირება</p>	<p>ადგილობრივი თემები, ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი</p>	<p><u>განხორციელდა უსაფრთხო და ეფექტიანი ელექტროღობეების სისტემის სავსე ტესტირება:</u></p> <p>ძალზე სახიფათო 220 ვოლტიანი სისტემების ნაცვლად, რომლებსაც ზოგი ადგილობრივი ოჯახი იყენებდა, გამოიცადა კომერციული ელექტროღობეების დამცავი სისტემა 15</p>

		<p>ოჯახში (11 ღობე) მათი შეფასების და ეფექტიანობის, პრაქტიკული გამოყენების და ფინანსური რენტაბელობის დემონსტრირებისთვის.</p> <p>შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> - ელექტროლობები, როგორც გარეული ცხოველების მიერ მოსავლის განადგურების პრევენციის მეთოდი, გამოიცადა ველზე (11 ღობის სისტემა, 15 ოჯახი). - მომზადდა და გავრცელდა ანგარიში ზეგავლენის და მიღებული გამოცდილების შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს რეკომენდაციებს.
<p>საქონლის დაზღვევის სქემის ტესტირება</p>	<p>ადგილობრივი თემები, ეროვნული პარკის ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი</p>	<p><u>სადაზღვევო სქემის სავლე ტესტირება</u>: ადგილობრივი ოჯახებისთვის შემუშავდა „უბედური შემთხვევის“ დაზღვევის სქემა და მხარი დაეჭირა საცდელი ვარიანტის განხორციელებას 100 ოჯახის 200 ძროხისთვის 2 სოფელში (დაზღვევა ანაზღაურებს საქონლის დანაკარგს რიგი მიზეზების შედეგად, არა მარტო დათვის თავდასხმის შედეგად, სხვა.) ეს პირველი ასეთი სქემაა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.</p> <p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მოხდა საქონლის დაზღვევის სქემის ტესტირება მტაცებელი ცხოველების თავდასხმებისგან – პირველი ასეთი სქემა საქართველოში (დაახლოებით 100 ოჯახი, 200 ძროხა, 2 სოფელში). - ტესტირების პროცესში საქონლის დალუპვის შემთხვევების ანაზღაურების ფაქტებმა გაზარდეს ადგილობრივი მოსახლეობის ნდობა დაზღვევის აღნიშნული სქემის მიართ. - დაზღვევის მსგავს სქემას გეგმავს ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF) „ეკო-კორიდორების პროგრამის“ ფარგლებში ხულოს რაიონში.








7.3. მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები


მიღებული გამოცდილება	სამიზნე ორგანიზაცია
<p>გარეული ცხოველები მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მოსახლეობას მაჭახლის ხეობაში და დიდი ალბათობით, მოსახლეობას მაღალმთიან აჭარაში (და ზოგადად საქართველოში). ამ პრობლემების დასაძლევად, ასეთ თემებს ესაჭიროება სისტემატური დახმარების გაწევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონფლიქტი კონსერვაციასა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს შორის.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის მხარდამჭერი დონორები, დაცული ლანდშაფტის მართვაში მონაწილე მუნიციპალიტეტები, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველო</p>
<p>არსებული მექანიზმი, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა ატყობინებს მთავრობას ადამიანის და გარეული ცხოველების კონფლიქტის პრობლემების შესახებ და ეძებს ამ პრობლემების გადაჭრის გზებს არაეფექტიანია. ლოგიკურად გამართლებულია ამ პრობლემების მოგვარებაში დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების როლი, ანუ 1) მათ ხშირად მოიხსენიებენ როგორც ამ პრობლემის წყაროს, ბ) მათ ჰყავთ პერსონალი და აქვთ რესურსები საიმისოდ, რომ ამ პრობლემას ყველაზე კარგად გაუმკლავდნენ.</p>	
<p>გარეული ცხოველების მიერ მიყენებული ზარალის შესახებ ინფორმაციის შეგროვება არ არის ადვილი, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის პასუხები ერთმნიშვნელოვნად გულწრფელი, რადგან აქ ბევრი მოტივაცია და ინტერესია ჩარეული. ადგილობრივი მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაცია კრიტიკულად უნდა შეფასდეს მათი სიზუსტის თვალსაზრისით და სადაც შესაძლებელია, გადამოწმდეს რეალობის დასადგენად.</p>	
<p>მაჭახლის ხეობაში მოხდა ელექტროლობების წარმატებით გამოცდა და მათი ეფექტურობის დემონსტრირება. ყველაზე იაფი ელ. ღობის სრული კომპლექტის ფასი შეადგენს დაახლ. ლ700</p>	
<p>ელექტროლობის ფასი არ არის ძალიან მაღალი მიყენებულ ფინანსურ ზარალთან შედარებით. ადგილობრივები, რომლებსაც აქვთ სასოფლო სამეურნეო ნაკვეთები გარეული ცხოველების მხრიდან დაზიანების მაღალი რისკის მქონე ადგილებში, რამოდენიმე წელიწადში შეძლებენ ელექტროლობის მოწყობასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯების ამოღებას. ერთი ელ. ღობის რამოდენიმე ოჯახის მიერ ერთობლივად მოწყობა კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის მას ხარჯების გადნაწილების თვალსაზრისით.</p>	

<p>ელ.ღობეების მოწყობილობა არ არის ხელმისაწვდომი ქართულ ბაზარზე რაც ზღუდავს მათი ფართოდ დანერგვის შესაძლებლობას</p>	
<p>მიუხედავად იმისა, რომ დაზღვევის სქემა კარგი საშუალებაა საქონლის დანაკარგით მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად, ადგილობრივი მოსახლეობა მაინც მიიჩნევს რომ სადაზღვევო გადასახადის ღირებულება მაღალია.</p>	
<p>რეკომენდაციები</p>	<p>სამიზნე ორგანიზაცია</p>
<p>მიუხედავად იმისა, რომ ადამიანსა და გარეულ ცხოველების შორის კონფლიქტი დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ხდება (დაცული ლანდშაფტის გამოკლებით), ამ პრობლემების მოგვარება დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ფუნქცია უნდა იყოს. ამ ფუნქციის განხორციელება უნდა მოხდეს პრობლემების მონიტორინგის და გადამოწმების, ტექნიკური კონსულტაციის გაწევის და ზიანის შემცირების გამოცდილი მეთოდების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის ფორმით და უკიდურეს შემთხვევებში, პრობლემური ცხოველების ლიკვიდაციის გზით (თუ ამის გაკეთება აუცილებელია).</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის მხარდამჭერი დონორები, დაცული ლანდშაფტის მართვაში მონაწილე მუნიციპალიტეტები</p>
<p>საჭიროა ადამიანის და გარეული ცხოველების კონფლიქტის მასშტაბისა და ხასიათის შემდგომი კვლევა და შესწავლა აჭარაში და ზოგადად, საქართველოში, რათა განისაზღვროს ამ პრობლემების მოგვარების პრიორიტეტულობა.</p>	<p>დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის ან სოფლის განვითარების მხარდამჭერი დონორები, დაცული ლანდშაფტის მართვაში მონაწილე მუნიციპალიტეტები, აჭარის გარემოს დაცვის სამმართველო</p>
<p>მაჭახელში წარმატებით დემონსტრირებული მეთოდები (ელექტროღობეები და საქონლის დაზღვევის სქემები) გათვალისწინებული უნდა იქნეს და დაინერგოს სხვა ტერიტორიებზე, სადაც ადამიანის და მტაცებლის კონფლიქტის სერიოზული პრობლემა არსებობს.</p>	
<p>საჭიროა შესაბამისი ქმედებები ელ. ღობეების მოწყობილობის ხელმისაწვდომობის და გამოყენების ზრდის თვალსაზრისით. მაგ: მათი სარგებლიანობის და ეფექტურობის შესახებ ცნობიერების და შესაბამისად მათზე მოთხოვნის გაზრდა, ახსნა-განმარტებები და მხარდაჭერა მათი მოწყობის და შემდგომი მოვლა-გამართულობის უზრუნველსაყოფად და ა.შ.</p>	
<p>მაჭახლის ხეობაში ან ნებისმიერ სხვა ადგილას დაზღვევის სქემის შემდგომი დანერგვისას გათვალისწინებული უნდა იყოს სადაზღვევო პრემიის შემცირება ერთ სულ საქონელზე, იმისათვის, რომ სქემა იყოს მიმზიდველი.</p>	






დანართი 1:

“აჭარის დასული მერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა” პროექტის საქმიანობებთან დაკავშირებული მედია ბმულები (2016-2018 წწ.)

აღწერა	QR კოდი
1. პოსტი გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის “ფეისბუქ” გვერდზე: აღმოაჩინე მაჭახელა	
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (ა/რ) უზენაესი საბჭოს "ფეისბუქ" გვერდზე ინფორმაცია გაეროს განვითარების პროგრამის დელეგაციის აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეხვედრის შესახებ (თარიღი: 19.09.2018	
3. ტელეკომპანია "რუსთავი 2" -ის ინფორმაცია მაჭახელას ეროვნული პარკის და აჭარის დაცული ტერიტორიების პროექტის მხარდაჭერით ჩატარებული საქმიანობის შესახებ (თარიღი: 20.09.2018)	
4. რეგიონალური და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებისთვის მაჭახელას ეროვნულ პარკში ჩატარებული მედია ტურის შესახებ ბმულები მედიის სააგენტოების და სხვა ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე (თარიღი: 20-21.09.2018).	
<ul style="list-style-type: none">• აჭარის ტელევიზია	
<ul style="list-style-type: none">• "ინტერპრესნიუსი" საქართველო	
<ul style="list-style-type: none">• გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობა	
<ul style="list-style-type: none">• ტელეკომპანია "იმედი"	

<ul style="list-style-type: none"> რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება -საქართველო 	
ადამიანსა და მტაცებელს შორის კონფლიქტი	
მაჭახელას ეროვნული პარკის ტურისტული ბილიკი	
უძველესი ღვინის მარანი მაჭახლის ხეობაში	
5. რადიო პროგრამა “კონტაქტი” -ს გადაცემა დაცული ტერიტორიების პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაზე ადამიანსა და მტაცებელს შორის კონფლიქტის შესახებ. რადიო აჭარა; საზოგადოებრივი მაუწყებლის რეგიონული ფილიალი (თარიღი: 12. 07.2018)	
6. საინფორმაციო სააგენტო “ინტერპრესნიუსი”. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა და აჭარის დაცული ტერიტორიების პროექტის თანამშრომლობა მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნის ინიციატივასთან დაკავშირებით (თარიღი: 27.07.2018)	
7. აჭარის ტელევიზიის პროგრამამ (3 ეპიზოდი) "ბუნების კანონი" გააშუქა ინფორმაცია აჭარის დაცული ტერიტორიების პროექტის მიერ, აჭარის რეგიონული მთავრობის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის, ორგანიზებული სასწავლო ტურს შესახებ თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე:	
<ul style="list-style-type: none"> დაცული ლანდშაფტის ტყის მართვა (27.09.2018) 	
